C M Y K

საერთო გაზეთი

№31 (343) ● 14 ოქტომბერი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

„ახალი აბრეშუმის გზა“ — ახალი პერსპექტივები ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობაში

ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაიგოს — ხელისუფლებაში სახეშეცვლილი „ნაციონალების“ დაბრუნება საქართველოს სიკვდილს ნიშნავს

ტრამპი — ტრამპლინი „ნაციონალებისთვის“

არ შეიძლება შეიარაღებული ბანდფორმირებების წევრებს, რომლებმაც კანონიერი ხელისუფლების დამხობაში მიიღეს მონაწილეობა, ვეტერანის სტატუსი მივცეთ. ეს იგივეა, ვეტერანის წოდება კრიმინალებს და მკვლელებს მივანიჭოთ!

აშშ-ის ჰეგემონია მსოფლიოში დასრულდა

ძალაში შედის მეოთხე თაობის ომი... ცივილიზაციათა დაპირისპირება რეალურ კონტურებს იძენს

შალვა ნათელაშვილი და ირაკლი ალასანია პირადად სააკაშვილის მარionეტები არიან

ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ საქართველომ „გაზპრომთან“ უფრო აქტიურად ითანამშრომლოს

ტერორისტული ბუმერანგი ევროპისათვის

პარტიის მშენებლობაზე რა გითხრათ... ვაშენებთ, ვაშენებთ და ვაშენებთ, მაგრამ როგორ ვაშენებთ და გამოგვივა თუ არა რამე, არ ვიცით...

„დეჟა ვიუ“, „ჟამე ვიუ“, ანუ უკან დატრიალებული დრო

არის თუ არა ხალხი მდედრობითი სქესის?

რედაქტორის სვეტი

ვახტანგ ხარჩილავა

— რას გადაეკიდეთ ამ „ნაცმოძრაობას“, მეტი საქმე არ გაქვთ? — გვსაყვედურობენ ვიღაც-ვიღაცები სოციალური ქსელებიდან.

საქმის მეტი რა გვაქვს, მაგრამ ვფიქრობთ, ნაციონალების ბოლომდე მხილება და მათი ავი ზრახვების გაშიფრვა-გამოაშკარავება ის საქმეა, რომლის გადადება არ შეიძლება.

სხვა საქმეები მოიცდის, მაგრამ ეს საქმე ვერა.

რაც შეეხება გადაკიდებას, ჩვენ კი არ გადავკიდებივართ „ნაცმოძრაობას“, „ნაცმოძრაობა“ გადაეკიდა საქართველოს და თერთმეტი წელიწადია სისხლს სწოვს და სიცოცხლეს უმწარებს.

უფრო უტიფარი, უფრო ურცხვი და უსირცხვილო ძალა, ვიდრე „ნაცმოძრაობაა“, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ არსებულა და, ალბათ, არც იარსებებს.

სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ქართველები ასეთი თვინიერები და მომთმენები თუ იყვნენ.

სხვა მათ ადგილას, მხართეძოზე კი არ წამოწვებოდა, გამოვიდოდა გარეთ და მშვიდობიანად, ყოველგვარი ძალადობის გარეშე, თავის ადგილს მიუჩენდა მათ შეურაცხმყოფლებს, რომლებმაც უდიდესი მორალური და მატერიალური ზიანი მიაყენეს საქართველოს და მის მოსახლეობას.

ქართველ ხალხს ეს არ გაუკეთებია და დღემდე მოთმინებით ელოდება სამართლის აღსრულებას, ამასობაში კი კოაბიტაციით გულმოცემული „ნაციონალები“ ვირთხებივით უკან მოიპარებიან და ყველა სახელისუფლო ხვრელსა და ჭუჭრუტანაში ძვრებიან, რომ მერე შიგნიდან გამოხრან და გამოჭამონ თვით ეს ხელისუფლება და ქვეყანაც ზედ მიაყოლონ.

ქართველი დღემდე ითმენს იმას, რასაც არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი, ბერძენი, შვედი, ჰოლანდიელი, ნორვეგიელი, ანუ იმ ევროპის ნებისმიერი მოქალაქე, საითკენაც ჩვენ მივისწრაფვით და რომლის წევრადაც თავს ვთვლით.

რატომ ხდება ასე? ევროპელებზე უფრო ევროპელები ვართ, ევროპელებზე უფრო დემოკრატები ვართ თუ რაშია საქმე?

ჩემი აზრით, ის, რაც საქართველოში ხდება, დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის, ზოგადად კი დემოკრატიის არასწორი გაგების მაჩვენებელია და არა დემოკრატიის მაღალი ხარისხის.

ასე რომ, გასახარელი და თავმოსაწონებელი ბევრი არაფერი გვაქვს — ისევ ის **თავ**დადებული ერი ვართ, ბალიშზე **თავ**დადებული ერი და იმას ველოდებით, ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა როდის გააკეთებს.

ირაკლი ღარიბაშვილი: ხელისუფლება ბოლო 3 წლის განმავლობაში არცერთი ტელევიზიის საქმიანობაში არ ჩარეულა

ქვეყანაში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმე კეთდება და აქცენტიც სწორედ ამ პროგრესზე უნდა გაკეთდეს, — მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე მედიას და ოპონენტებს.

მისი თქმით, ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მეტ მომხიბვლელობას იძენს, კიდევ უფრო მეტი ინვესტორი ჩამოდის საქართველოში.

„რამდენიმე დღის წინ შეხვედრა ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანიის ხელმძღვანელობასთან მქონდა. ეს არის კომპანია, რომელიც 108 ქვეყანაში ოპერირებს და, რომლის საინვესტიციო პორტფელი რამდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს შეადგენს. მათთან ისეთი სტრატეგიული პროექტების განხორციელებაზე ვსაუბრობთ, როგორებიცაა: ანაკლიის პორტი, რიკოთის უღელტეხილზე გასაყვანი ახალი გზა. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმე კეთდება და მთავარი აქცენტები სწორედ ამ პროგრესზე უნდა გავაკეთოთ, ძვირფასო მედიის წარმომადგენლებო და ძვირფასო ოპონენტებოც, რადგან ეს ქვეყანა მხოლოდ ჩვენს მთავრობას არ ეკუთვნის. ის ეკუთვნის ყველას: ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს შვილებს, მომავალ თაობას და ყოველგვარი ზედმეტი ხმაური საბოლოო ჯამში სწორედ ქვეყანას, მის ინტერსებს აზიანებს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე განმარტებით, მედიის თავისუფლების ფონზე მთავრობას მოსახლეობამდე ინფორმაციის მიწოდების პრობლემა აქვს.

„კიდევ უფრო მეტად, ორმაგად და სამმაგად უსამართლობაა, მოისმინო კრიტიკა ისეთი ადამიანებისგან, რომელთა ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას, აღარ მინდოდა ამ სიტყვების გამოყენება, მაგრამ მაინც მომიწია - მთელი სტრატეგიული ობიექტები აღმოჩნდა რუსეთის ხელში. სწორედ წინა მთავრობა აპირებდა გაზსადენის გაყიდვასაც. ამ ყველაფრის ფონზე კახა კალაძის ერთი შეხვედრა „გაზპრომის“ წარმომადგენლებთან გახდა რაღაც საოცარი აჟიოტაჟის საფუძველი. მიზანი არის ერთი — მოხდეს ყურადღების გადატანა ნაკლებად საინტერესო საკითხებზე და არ მოხდეს მთავარზე კონცენტრირება. საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, მოსახლეობას აქვს ინფორმაციის მიღების პრობლემა. მე თუ მკითხავთ და გულწრფელად გეუბნებით, დღეს საქართველოში იმ სამთავრობო გეგმების, სამთავრობო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების პრობლემაა, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ. მედიას ინფორმაციის გავრცელების პრობლემა არ აქვს. პრობლემა გვაქვს ჩვენ — მთავრობას — ინფორმაციის მოსახლეობამდე მიწოდების. ამას აკეთებენ არა მხოლოდ „რუსთავი 2“, „იმედიც“, „მაესტრო“ და „პირველი არხიც“ - ყველანი, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი მნიშვნელოვანი მოვლენების აქტიური გაშუქებით“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2"-ის მფლობელებს დებატებში იწვევს

ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2“–ის ნომინალურ მფლობელებს, ძმებ ყარამაშვილებს ტელედებატებში იწვევს.

აღნიშნულთან დაკავშირებით ბიზნესმენი განცხადებას ავრცელებს.

„ღია ეთერში, ტელედებატების ფორმატში, სასაუბროდ ვიწვევ „რუსთავი 2“–ის ნომინალურ მფლობელებს, ძმებ ყარამაშვილებს, თუ სურთ ორივეს ერთად, თუ სურთ, – ერთ-ერთს. ვფიქრობ, მართებული იქნება სწორედ ამ ფორმატში გავშალოთ დისკუსია და სულ რამდენიმე წუთში გახდება ცხადი, ვის წარმოადგენენ რეალურად ყარამანაშვილები და მათი ტელეკომპანია „საქართველო“.

საკმაო ხანს ვიკავებდი თავს მედია–სივრცეში აქტიურობისგან. მიმაჩნია, რომ ჩემი საკუთრების უფლების საკითხი, მათ შორის, „რუსთავი 2“–ის წილებთან მიმართებაში, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, როგორც ეს, ნებისმიერ ქონებრივ დავასთან დაკავშირებით, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება.

პროპაგანდის „მამები“ მაყურებლის შეცდომაში შეყვანას და საკითხის რეალური და ფაქტობრივი გარემოებებიდან მათი ყურადღების გადატანას ყველა ხრიკით და ხერხით ცდილობენ. პარალელურად, ნაპროკურორალი დირექტორი გვარამია აკეთებს ხმამაღალ განცხადებებს, რომ დიახ, იქნება ზეწოლა სასამართლოზე და ბოლოში დასძენს – კანონის ფარგლებში. ალბათ, ოდესმე, იურისტი გვარამია, განმარტავს, რომელი კანონი ითვალისწინებს სასამართლოზე ზეწოლას და რომელი კანონქვემდებარე აქტი განსაზღვრავს ზღვარს ზეწოლასა და მედიის მიერ ფაქტების მიუკერძოებელ გაშუქებას შორის.

მე მხოლოდ იმას შევახსენებ „რუსთავი 2“–ის ნომინალური მფლობელების მიერ დანიშნულ დირექტორს, რომ სასამართლო არც ჩემია და არც მისი. სასამართლო არის ინსტიტუცია, რომელიც უზენაესია დემოკრატიულ საზოგადებაში და რომელიც, ნორმალურ საზოგადოებაში არც ზეწოლას ექვემდებარება და არც შანტაჟს. არც იმის გახსენება იქნება ურიგო გვარამიასთვის, თუ დამოუკიდებლობის რა ხარისხით სარგებლობდა სასამართლო მისი პროკურორობისას და დამოუკიდებლობის რა ხარისხია დღევანდელ სასამართლო სისტემაში. ნუ იტყვის ხმამაღლა, თავისთვის შეიხსენოს.

თუმცა, მე ნომინალური მფლობელების მიერ დანიშნულ ე.წ. დირექტორთან, საქმე არ მაქვს... თავად ამ ნომინალურ მფლობელებს კი ამ საჯარო განცხადებით ვიწვევ ტელედებატებში, თუნდაც „რუსთავი 2“–ისავე ღია ეთერში. ველი მათ გამოხმაურებას ორი დღის განმავლობაში", - ნათქვამია ქიბარ ხალვაშის განცხადებაში, რომელსაც რუსთავი 2 ავრცელებს.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მსოფლიო პრესის მიხედვით

„ახალი აბრეშუმის გზა“ — ახალი პერსპექტივები ჩინეთ–საქართველოს ურთიერთობაში

ჩინეთი შავ ზღვაზე გააქტიურებას ცდილობს და საქართველოში ნიადაგს იმზადებს

15-16 ოქტომბერს თბილისში იმართება ფორუმი „ახალი აბრეშუმის გზა“. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე იაპონიის JB Press-ის მიმომხილველი ჰიროტაკე მაედა იხსენებს უახლესი ისტორიის მოვლენებს, თუ როგორ ვითარდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს ევროპული არჩევანის მიუხედავად ურთიერთობა საქართველოსა და ჩინეთს შორის.

„საქართველოში სწავლის დროს მოვისმინე ერთი ანეგდოტი: ჩინელებმა ქართველებს ჰკითხეს, თქვენი ქვეყნის მოსახლეობა რამდენიაო, და როცა პასუხი მოისმინეს — ოთხი მილიონიო, გაჰკვირვებიათ — ასე ცოტანი ხართ?

საქართველოში ჩინეთისა და იაპონიის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებებია. როგორც ჩანს, ეს დამახასიათებელია მთლიანად ყოფილი საბჭოთა კავშირისთვის. ხალხი ხოტბას ასხამს იაპონიას, რომელმაც მოდერნიზაციაც შეძლო და ეროვნული ტრადიციებიც შეინარჩუნა. ჩინეთი კი აღიქმება უზარმაზარ და არცთუ სასურველ აღმოსავლურ ზესახელმწიფოდ.

სხვანაირად თუ ვიტყვი, ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორიც მაგალითად საქართველოა, იაპონიაზეც და ჩინეთზეც გადაჭარბებული წარმოდგენები აქვთ. საქართველოში ჩამოსულ ბევრ იაპონელს ეს იმიჯი ეხმარებოდა, ბევრს კი, პირიქით, წინააღმდეგობრივი გრძნობები უჩნდებოდა. ამიტომაც ჯობს, რეალობას დავუბრუნდეთ.

ჩინეთი აძლიერებს თავის გავლენას

მიმდინარე წლის მარტში გიორგი კვირიკაშვილი — ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი ჩინეთს ეწვია და მოლაპარაკებები გამართა აბრეშუმის გზის ფონდის ხელმძღვანელთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადების შესაძლებლობაზე. მაშინ მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ საქართველო იქნება მასპინძელი პირველი საერთაშორისო ფორუმისა „დიდი აბრეშუმის გზა“.

აბრეშუმის გზის ფონდი 2014 წლის ნოემბერში დაარსდა, 2015 წლის თებერვალში მუშაობა დაიწყო. სამომავლოდ, მისი კაპიტალიზაცია 40 მილიარდ დოლარს მიაღწევს. იაპონიის მასმედიის საშუალებები არაერთხელ იუწყებოდნენ, რომ ეს ფონდი პაკისტანში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში ინვესტიციების ჩადებას გეგმავს. გიორგი კვირიკაშვილი ჩინეთში მაშინვე გაემგზავრა, როგორც კი ფონდი ამუშავდა. შეიძლება ითქვას, რომ არჩევანი მასზე შეჩერდა.

მაისში საქართველოს ეწვია ჩინეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი. ივნისში სამდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარე. მან დაათვალიერა კომპანიები, რომელთა ინვესტორი ჩინეთია, აგრეთვე ღვინის ქარხნები.

ივლისში უკვე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი გაემგზავრა ჩინეთში. გაიმართა სოფლის მეურნეობის დარგის სამუშაო ჯგუფის სხდომა. აგვისტოში პეკინში იმყოფებოდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. აგვისტოშივე თბილისში გაიმართა ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიური ბანკის (AIIB) ფორუმი, რომლის მიმდინარეობისას ჩინეთის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბანკის პრეზიდენტად აირჩიეს.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის შეცვლის ამბავი ქართველი პრემიერ-მინისტრის ჩინეთში ვიზიტის წინ გახდა ცნობილი.

რას უნდა ელოდოს საქართველო

ქართული მხარე იმედოვნებს, რომ იქნება ჩინური ინვესტიციები, აგრეთვე განმტკიცდება ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთთან. რასაკვირველია, საქართველოსთვის მიმზიდველია ჩინეთის ბაზარი. სხვათა შორის, 2015 წლის პირველ ნახევარში ჩინეთის მიერ ქართული ღვინის შესყიდვის მოცულობის მიხედვით საქართველო მეხუთე ადგილზეა — რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინისა და პოლონეთის შემდეგ.

წელს ყურძნის ფასი დაეცა, რამაც სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე ქაოსი გამოიწვია. ამ პირობებში, შესაძლოა ომის გამოც, ღვინის ექსპორტი რუსეთსა და უკრაინაში წინა პერიოდთან შედარებით ორჯერ შემცირდა. ამიტომაც მთავრობა აქტიურად ეძებს ექსპორტის ახალ შესაძლებლობებს. ჩინეთის რესპუბლიკაში ექსპორტის მოცულობა ნელ-ნელა იზრდება (კვარტალში 760 ათასი ბოთლი).

სექტემბრის დასაწყისში დალიანეში გაიმართა საზაფხულო დავოსის ფორუმი, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრიც ესწრებოდა. მან ამ ფორუმზეც განაცხადა, რომ აუცილებელია ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავება და განმტკიცება.

გარდა ამისა, მან მოლაპარაკებები გამართა ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ლი კეციანთან, აგრეთვე ეწვია კომპანია Dalian Locomotive and Rolling Stock-ს, ხელი მოაწერა საქართველოში ქარხნის აშენების შესაძლებლობის მემორანდუმს. საქართველო რკინიგზის განვითარებითაც საინტერესო ქვეყანაა.

საქონელბრუნვით ჩინეთი უკვე მესამე ადგილზეა

სინამდვილეში, ჩინეთი უკვე გახდა სიდიდით მესამე პარტნიორი საქართველოსთვის თურქეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ, თანაც რუსეთს გადაასწრო. ჯერჯერობით, ეს მაჩვენებელი ევროკავშირისა და დსთ-ის ქვეყნებთან ვაჭრობის საერთო მოცულობის ერთი მეოთხედია, მაგრამ სერიოზული ზრდის პროგნოზი დღესვეა შესაძლებელი. ამ ყველაფრის ერთ-ერთი მიზეზი შემდეგია — სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით ჩინეთი უფრო ადვილად თანამშრომლობს საქართველოსთან, რომელსაც გეოპოლიტიკური კონფლიქტი აქვს რუსეთთან, მრავალრიცხოვანი მართლმადიდებელი მოსახლეობით. საქმე ის არის, რომ სომხურ დიასპორას მძლავრი ეკონომიკური გავლენის ბერკეტები აქვს რუსეთში და დასავლურ ქვეყნებში, აზერბაიჯანს კი — მჭიდრო ურთიერთობა თურქეთთან.

გარდა ამისა, საქართველო აუცილებელია ჩინეთისთვის, რათა შეძლოს შავ ზღვაზე გასვლა რუსეთსა და სომხეთს შორის. თუ გადავხედავთ არცთუ შორეულ წარსულს, მეოცე საუკუნეში ასეთსავე ავრცელოს იმ რეგიონებზე, რომლებიც „დიდი აბრეშუმის გზის“ გასწვრივ მდებარეობს.

ფორუმზე ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოადგენს ვაჭრობის მინისტრი ბრიუს ენდრიუსი. ფორუმს დაესწრება არაბთა გაერთიანებული საამიროების კულტურის, ახალგაზრდობისა და სოციალური განვითარების მინისტრი შეიხი ნაჰაიანი, რომელიც საქართველოს აქტიური ინვესტორია. ცნობილია, რომ მას წილობრივი უფლებები აქვს პაკისტანში, სადაც ინფრასტრუქტურის ბანკმა უკვე განახორციელა თავისი პირველი ინვესტიციები. ამ თვალსაზრისით ფორუმზე მისი გამოსვლა დიდ ინტერესს იწვევს.

მომხსენებელთა უმრავლესობა ჩინეთის წარმომადგენელია. ჩინეთის მძლავრი პოზიციები და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების რაოდენობა მართლაც რომ განსაცვიფრებელია.

ამის ფონზე რუსეთის წარმომადგენლობა მეტისმეტად მცირეა. იაპონიიდან მხოლოდ ერთი ადამიანი მონაწილეობს ფორუმში. არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში საქართველოსთან კავშირები ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ერთგვარი უთანხმოების მიზეზიც გახდეს.

ქართული დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური, სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორი, მმართველი პარტიის წარმომადგენლები და სხვა პოლიტიკოსები.

იაპონიაში გავრცელებული ინფორმაციით, ანაკლიის პორტის განვითარებაზე იმუშავებენ ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოები, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უპირატესობა სწორედ ჩინეთს ენიჭება.

ინტერესს ავლენდა იაპონია საქართველოსა და კავკასიის სხვა რეგიონების მიმართ.

ფორუმი „ახალი აბრეშუმის გზა“

ამგვარად, მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეების ვიზიტების გაცვლის შემდეგ 15-16 ოქტომბერს თბილისში საერთაშორისო ფორუმი იმართება.

ფორუმზე სიტყვით გამოვლენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და სინძიან-უიგურის ავტონომიური რაიონის თავმჯდომარე შოჰრათ ზაქირი. ჩინეთის ეს რაიონი, რომლის ისტორიული ტოპონიმი აღმოსავლეთ თურქესტანია, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და ფართობით ყველაზე დიდი ტერიტორიტორიულ-ადმინისტრაციული რეგიონია. მისი მოსახლეობა თითქმის 22 მილიონია.

კვირაში სამჯერ თბილისსა და ურუმჩის შორის რეგულარული ავიარეისები სრულდება. ჩინეთი, სერიოზული პრობლემების მიუხედავად, ცდილობს თავისი გავლენა გა-

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს აზიის განვითარების ბანკის სამი მომხსენებელი, ბანკისა, რომელიც იაპონიისა და ამერიკის ინიციატივით დაარსდა.

„აბრეშუმის გზის“ თეორია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში ევროპელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს, ოცდამეერთეში სრულყოფილად აითვისა ჩინეთმა — მას შემდეგ, რაც მეოცე საუკუნეში საფუძვლიანად შეისწავლა იაპონიამ, მასმედიის საშუალებებმა კი ეს ინფორმაცია გაავრცელეს.

სამწუხაროა, რომ ამ ფორუმზე, რომელიც „აბრეშუმის გზას“ ეძღვნება და საქართველოში იმართება, იაპონია სათანადოდ არ არის წარმოდგენილი, არადა, საქართველოსა და იაპონიას შორის მეგობრული ურთიერთობები აკავშირებთ.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სამომავლოდ მთელი მსოფლიოს ყურადღებას მიიპყრობს ჩინეთის „აბრეშუმის გზის“ დიპლომატია.

მოამზადა
გიორგი ჭავჭავაძემ



ზურაბ ქადაგიძე:

შალვა ნათელაშვილი და ირაკლი ალასანია პირადად სააკაშვილის მარionეტები არიან

„საერთო გაზეთის“ სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი ზურაბ ქადაგიძე.

ზურაბ ქადაგიძე: „ჩვენს ორგანიზაციას მანამდეც არაერთხელ უთქვამს, რომ ირაკლი ალასანია და შალვა ნათელაშვილი „ნაციონალური მოძრაობისა“ და პირადად სააკაშვილის სატელიტები არიან. შალვა ნათელაშვილის აზრით, „რუსთავი-2“ თავისი პოზიციით თურმე ისე სჭირდება საქართველოს, როგორც დაჭრილი ირმების გუნდს წყარო ანკარა და ხალხს მოუწოდებს სიტყვის თავისუფლება დავიცვათო, ირაკლი ალასანია კი საზოგადოებას ერთ მუშტად შეკვრისკენ და „რუსთავი-2“-თან ერთად სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლისკენ მოუწოდებს. არ ვიცი თვითონ რას ფიქრობენ, მაგრამ ჩემთვის ეს განცხადებები მათი ლუსტრაციაა, ამ საკითხზე მეტს არაფერს ვიტყვი, საზოგადოებამ თავად განსაჯოს.

რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არის ადამიანების ჯგუფი, რომელიც მიზანმიმართულად ცდილობს, თითქმის ყველა აქტუალური საკითხი პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანოს, რომ შემდეგ ანგარიში შეადგინონ და ევროპელ პოლიტიკოსებს ხელში შეაჩეჩონ. განსაკუთრებით გამოვყოფდი ნაციონალ პარლამენტარ გიორგი კანდელაკს, რომელიც ნებისმიერი დეტალის გამოყენებას ცდილობს, რომ რამენაირად შელახოს საქართველოს იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე. ახლა „რუსთავი-2“-ის თემა „მოირგეს“, რომელიც ძალზე სენსიტიურია, რადგან მედიას ეხება. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს არის დავა, რომელიც არსებობს ძველსა და ახალ მფლობელს შორის. ჩემი ინფორმაციით, ქიბარ ხალვაში ამ დავის დაწყებას 2007-2008 წლიდან აპირებდა, მაშინ რატომ არ დაიწყო ვერ გეტყვით, ვფიქრობ, როცა საშუალება გაჩნდა, მაშინ დაიწყო. „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ის ადამიანია, რომელიც თავის დროზე ამართლებდა ტელეკომპანიების „იბერიისა“ და „იმედის“ დარბევას, ახლა კი ბრძანებს, მიზანმიმართული და პირდაპირი შტურმი ხდება „რუსთავი-2“-ზეო, რასაც გამოვრიცხავ. თუკი სიტყვის თავისუფლებას ხელკეტებით და სხვა ძალისმიერი მეთოდებით დაემუქრებიან, პირველი მე და ჩემი თანამოაზრეები გამოვალთ, ამ ეტაპზე მხოლოდ სამართლებრივ დავას ვხედავთ. ნიკა გვარამიას რომ ჰკითხო, სასამართლო სამარცხვინოდ მოიქცა, როცა სასამართლო მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას იღებს, მაშინ ობიექტურია და ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არის ობიექტური? მათთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიმღები თურმე ჯიბის მოსამართლე ყოფილა. დღეს რეალურად ისეთი სურათია, რომ ნაცმოძრაობასთან დაკავშირებული ჯგუფი სპეციალურად ცდილობს პოლიტიკური ტემპერატურის აწევას, რათა საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ცუდი იმიჯი შეუქმნან, სხვა არაფერი დარჩენიათ, მათი აქტიურობა გარე მოხმარებისთვისაა, რადგან ქვეყნის შიგნით თითქმის ყველამ იცის რა დავასთანაც გვაქვს საქმე. „რუსთავი-2“-ის ასე ვთქვათ, მენეჯმენტი, ვგულისხმობ ზედა ეშელონებს, 2004 წლიდან ბურუსმა მოიცვა, ვერავინ იგებდა რეალურად ვის ხელში იყო და ვის ხელში გადადიოდა ხსენებული ტელეკომპანია, დღესაც ანალოგიური ვითარებაა. საზოგადოებას კარგად მოეხსენება ტელეკომპანიის მმართველ რგოლში არსებული პრობლემების შესახებ, მაგრამ რიგი ადამიანები ცდილობენ, ეს ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილში გადაიყვანონ და პოლიტიკურ იარაღად გამოიყენონ. როგორც გითხარით, ჩვენთვის „რუსთვი-2“-ის გარშემო განვითარებული მოვლენები ქიბარ ხალვაშსა და დღევანდელ მფლობელებს შორის სამართლებრივი დავაა, რომლის მონიტორინგსაც აწარმოებს ჩვენი ორგანიზაცია, ყველა სასამართლო სხდომას ესწრება ჩვენი წარმომადგენელი, თუ ეს დავა სამართლებრივ ჩარჩოებს გაცდა, ადექვატური რეაქცია გვექნება.

ვერაფერ საგანგაშოს ვხედავთ იმაში, რომ ხალვაშის მხარის მოთხოვნა ტელეკომპანიის ქონების დაყადაღების შესახებ, სასამართლომ დაკმაყოფილა. მოსარჩელე თვლიდა, რომ არსებობდა ტელეკომპანიის დღევანდელი მმართველების მხრიდან წილების გასხვისების ალბათობა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა, რაც არც არის გასაკვირი. დაველოდოთ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, თითიდან გამოწოვილად მიმაჩნია ბრალდებები, რომ თურმე პოლიტიკური პროცესია, თავისუფალ მედიაზე ზეწოლა ხდება და ა.შ. სასაცილოა ეს ყველაფერი, რადგან ამაზე ის ხალხი საუბრობს, რომლებიც ნაციონალების მმართველობისასა ტელევიზიების დარბევას „აპრავებდა“.

- საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა სასამართლოზე ზეწოლად შეფასდა ნაციონალებისა და მათი მხარდამჭერების მხრიდან, ამ დროს ეს გუნდი დაუფარავად ლანძღავს მერაბ ტურავასა და თამაზ ურთმელიძეს, ეს არ არის მოსამართლეებზე ზეწოლა?

- ჩვენც ამ ორმაგ სტანდარტზე ვსაუბრობთ, როცა საკონსტიტუციო სასამართლომ გიორგი პაპუაშვილის თავმჯდომარეობით მიიღო გადაწყვეტილება სწორედ იმ მომენტში, როცა დედაქალაქის ექს-მერ გიგი უგულავას ჰაერივით სჭირდებოდა, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილება ობიექტური ყოფილა, ხოლო მოსამართლის მხრიდან ქონების დაყადაღება არაობიექტური, რაც ორმაგი სტანდარტის კლასიკური მაგალითია. საერთოდ კი სასამართლო სისტემაში აუცილებლად უნდა გატარდეს რეფორმა. მოგეხსენებათ გიორგი პაპუაშვილი ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრობს, სააკაშვილის „ნაბოძები“ რა ქონება გაყიდა იმაზე აღარაფერს ვამბობ, მაგრამ პაპუაშვილმა გაასხვისა ის ავტოფარეხიც, რომელიც ოფიციალურად არ ჩამოურთმევიათ მისი მფლობელისთვის (ბლადაძე). ასეთივე მოსამართლეები არიან მისი გარემოცვაც, რომლებმაც მიიღეს ზემოხსენებული საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის დადებით-უარყოფითობაც სადაოდ მიმაჩნია. მე, როგორც უფლებადამცველს მიმაჩნია, რომ წინასწარი პატიმრობის ვადა ცხრა თვეზე მეტი არ შეიძლება იყოს, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ცვლილება მოცემულ მომენტში მიიღეს, თანაც პომპეზურობითა და ძალის დემონსტრირებით, მანამდე რატომღაც ამის სურვილი არ გასჩენიათ. ნაციონალების 9-წლიანი მმართველობის პერიოდში საზოგადოებამ მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ვინაობა იცოდა, დღეს გაირკვა, რომ იქ კიდევ ექვსი მოსამართლე ყოფილა, რომლებიც ფაქტობრივად გიგი უგულავას პოლიტიკური პიარაქციისთვის გაისარჯნენ. მათ ძალიან კარგად იცოდნენ რა დაბოლოებაც ექნებოდა უგულავას საქმეს, მაგრამ ხსენებული ცვლილება გამოიყენეს, რომ ბოლადომანიით შეპყრობილ უგულავას ხალხისთვის მიემართა. მე თუ მკითხავთ, სასამართლო ძალიან ლიბერალურად მოიქცა უგულავას მიმართ, ანუ იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც 50 მილიონის გაფლანგვას ედავებიან. თურმე უგულავას წარმოდგენა არ ჰქონია ხსენებულ თანხაზე (ყოველ შემთხვევაში თავიდან ასე თქვა), შემდეგ ახსნა, რომ ეს ფული ხალხს დაურიგა. აქ რეალურად ორი საკითხია, ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით, რომ მერი, რომელმაც არ იცის სად მიდის 50 მილიონი ლარი, ამ განცხადებას ზურაბ ადეიშვილის წერილზე დაყრდნობით ვაკეთებ, სადაც ის ამბობს, ეს თანხა უგულავას გარეშე მივმართე ეს თანხა სხვაგანო, მინიმუმ არაკომპეტენტურია. მეორე – როცა მერი განვითარების ფონდის თანხას თავის აქტივისტებს ურიგებს ხელფასებადეს, საქმე გვაქვს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან, ასე რომ, უგულავა ორივე შემთხვევაში დამნაშავეა, მას მინიმუმ იმის მორალური უფლება არ ჰქონდა, რომ დედაქალაქის მერი ყოფილიყო.

ერთი ვერ გავიგე, რა შუაშია „რუსთავი-2“-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებთან ბიძინა ივანიშვილი, ის თურმე ებრძვის ამ ტელეკომპანიას და მისი დახურვა უნდა. ბატონი ბიძინა როცა ხელისუფლებაში მოვიდა და რეალურად ჰქონდა იმის საშუალება, რომ თუნდაც უკითხავად გაეძლიერებინა თავისი ტელევიზია, ყველა წამყვანი ტელეკომპანია უკან ჩამოეტოვებინა, მაშინ დახურა „მეცხრე არხი“ და ახლა ქიბარ ხალვაშის ხელით ებრძვის „რუსთავი-2“-ს? მე, რიგითმა მოქალაქემ ვიცი, რომ 2012 წლის ოქტომბრამდე არავითარი აზრი არ ჰქონდა სახელმწიფოსთან დავას და ქიბარ ხალვაშმა არ იცოდა, მას ხომ უკეთ მოეხსენებოდა მაშინდელი ქართული სპეცსამსახურების „მუშაობის“ სტილი? სტრასბურგში დაიდო დასკვნა, რომ სანდრო გირგვლიანი წამებით არის მოკლული და ამ საქმეში მაღალჩინოსნები ფიგურირებდნენ, ნაციონალების ხელისუფლებამ მხოლოდ სამსახურიდან გაათავისუფლა ეს მაღალჩინოსნები, თუმცა რამდენიმე დღეში ისევ უკან დააბრუნა, დათა ახალაია ოფიციალურად არ აღუდგენიათ თანამდებობაზე, თორემ რეალურად ის ხელმძღვანელობდა კუდს, ასეთ ხელისუფლებასთან დავას რა აზრი აქვს? როცა ადამიანი ამას ხვდება, ცხადია, ხელისუფლების შეცვლას დაელოდება, რომ დაიწყოს სამართლებრივი დავა. ქიბარ ხალვაშს მარტო „რუსთავი-2“ ხომ არ წაართვეს, გაიხსე-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ნეთ როგორ გადაუწვეს აღმაშენებლის ხეივანზე მდებარე ფირმის ოფისი, კადრებიც არსებობს როგორ ინაწილებდნენ დათა ახალაია და „ბიჭები“ ხალვაშის კუთვნილ ძვირადღირებულ ავტომანქანებს. როცა სასამართლოსა და მართლმსაჯულებაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2004-დან 2012 წლის მიწურულამდე, განსაკუთრებით 2009-2010-2011 -2012 წლებში მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი გამამართლებელი განაჩენები დგებოდა. ეს მართლმსაჯულების ლაფსუსი კი არ არის, იმაზე მიანიშნებს, რომ უბრალოდ არ არსებობდა მართლმსაჯულება. მაშინდელ ხელისუფლებას აწყობილი ჰქონდა მთელი სქემა, ბრალდებულების ოჯახებმა კარგად იცოდნენ რა ვითარებაც იყო ციხეებში, ამიტომაც ყველაფერს ყიდდნენ, რომ ისინი იმ ჯოჯოხეთიდან გამოეხსნათ. პანტაპუნტით ფორმდებოდა საპროცესო შეთანხმებები, რის ხარჯზეც ავსებდნენ ბიუჯეტს, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს საკუთარ თავზე ჰქონდა მორგებული. სხვათა შორის, ლარის კურსსაც ამგვარი მაქინაციებით „იჭერდნენ“. ნაცმოძრაობა როგორ უნდა საუბრობდეს მართლმსაჯულებაზე, გიგა ბოკერიას აზრით, დღეს მართმსაჯულებაში პრობლემები ყოფილა, არადა სწორედ ის გახლავთ ერთ-ერთი პროექტის ავტორი, რომლის მიხედვითაც თუკი ქვეყანაში პატიმრების რიცხვი 20.000-ს გადააჭარბებდა, ამ ქვეყანაზე გამოიყოფოდა გრანტი, ამიტომ ეს ადამიანები სპეციალურად ავსებდნენ ქართულ ციხეებს, რომ გრანტები მოეპოვებინათ. ევროპა რომ არ აღშფოთებულიყო, ყველაზე დიდ სასჯელები ქართველ მოსამართლეებს გამოაქვთო, შემდეგი სქემა ჰქონდათ შემუშავებული, პროკურორი მოსამართლეს უთანხმდებოდა, მე მოვითხოვ უმაღლეს სასჯელს, პირობითად 12 წელს, შენ 8 წელი მიუსაჯე, დანარჩენს მე მოვახერხებ, რომ ბრალდებულს შევუთანხმდები, რომ საპროცესო გარიგება გავაფორმოთო. თითქმის ყველა საქმეზე ასე ხდებოდა, წლების განმავლობაში 5-6 გამამართლებელი განაჩენი თუ დგებოდა, ისიც მსუბუქ დანაშაულობებზე.

- ნაცმოძრაობა და მისი სატელიტები ორმაგ სტანდარტის გამოყენებაში დღევანდელ ხელისუფლებას ადანაშაულებენ, რის მაგალითადაც „თავისუფალი ზონის“ წევრებისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდება მოყავთ.

- პირადად მე 2009 წლის 15 ივნისის დარბევისას დაზარალებული ვარ, რაც ევროსასამართლომაც აღიარა და სახელმწიფო კომპენსაციის გადახდაზე დათანხმდა. 2009 წლის 12 ივნისს პარლამენტთან სირცხვილის დერეფანი მოვუწყვეთ პარლამენტარებს, რის გამოც აქციის ხუთი მონაწილე (ფაცაცია, გიორგანაშვილი, ბეიტრიშვილი, მამუკა ბალიაშვილი) პოლიციელებმა მოიპარეს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ე.წ. დემოკრატებმა, ვგულისხმობ გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძეს და ა.შ., რომლებმაც ხელისუფლების ეს ქმედება იმით გაამართლეს, რომ თითქოს ჩვენ შეურაცხყოფას ვაყენებდით პარლამენტარებს, არადა ვიდეოკადრები არსებობს, რომ ასეთი რამ არ მომხდარა. 15 ივნისს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მივედით, რომ ამ ადამიანების დაკავება გაგვეპროტესტებინა, თუ ისინი დამნაშავეები იყვნენ, მაშინ ჩვენც დავეჭირეთ. ამის გამო პოლიციამ სასტიკად დაგვარბია, ერთი სიტყვით, „გადაგვიარეს“. ოთხივე მხრიდან ალყაში მოგვაქციეს და მიდიოდა ჩეხვა. ნაცემ ბიჭებს, რომლებიც მკვდრები ეგონათ, დიღმის ხიდიდან ყრიდნენ, რომ პოლიციას არ დაბრალებოდა მათი სიკვდილი, ვითომ შემთხვევით მანქანა დაეჯახათო და ა.შ. მაშინ ჩვენთან ერთად იყვნენ დავით გამყრელიძე და დღევანდელი პარლამენტარი ზურაბ აბაშიძეც. ეს უკანასკნელი ისე სასტიკად იყო ნაცემი, რომ სახე ფაქტობრივად აღუდგინეს. გული ძალიან მწყდება, რომ ზურაბ აბაშიძე დღეს ამ თემაზე საერთოდ არ საუბრობს, მისი ბევრი გამოსვლა მინახავს, როცა საშუალება ჰქონდა რომ ეს ყველაფერი ეთქვა, მაგრამ თავი აარიდა. შს მინისტრის მაშინდელი მოადგილე ეკა ზღულაძე პირწავარდნილი მატყუარაა, რომელმაც მერე ჟურნალისტებს ბოდიში მოუხადა მუშაობის საშუალება არ მოგეცათო. პოლიციამ ჟურნალისტებს, რომლებიც ამ საშინელებას იღებდნენ კამერები ჩამოართვა, მოგვიანებით დაუბრუნეს, ოღონდ პოლიციის მთავარ სამმართველოში კი არა, ორთაჭალაში, შსს-ს შენობაში, მაგრამ ყველა კადრი წაშლილი იყო. აღნიშნული დარბევის გამო სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასა და ძალაუფლების გადამეტებაში დაადანაშაულა. ვსვამ კითხვას, ადამიანს, რომელსაც კონსტიტუციით აქვს მინიჭებული ლეგიტიმური უფლება, რომ პარლამენტთან მოაწყოს აქცია, გააკეთოს განცხადებები, მოუწოდოს პარლამენტარებს, არ შეურაცხყოს, მაგრამ მორალური თვალსაზრისით საკადრისი მიუზღოს, ის სასიკვდილოდ უნდა გაიმეტონ? როცა პარლამენტარს ხმის გამაძლიერებელს (რუპორს) ესვრის ვიღაც, ტანსაცმელს შემოახევს და ამის გამო აკავებენ, ამ დროს ერთ ამბავი რომ ტეხავენ ეს დემოკრატიის და ადამიანის უფლებების „დამცველები“, 2009 წელს რატომ არ ამოიღეს ხმა, შეეშინდათ თუ ეთანხმებოდნენ ხელისუფლების ქმედებას? მე და ჩემმა მეგობრებმა ნაციონალების ოფისთან საღებავით რომ რაღაც დავწერეთ, ვანო მერაბიშვილის ფოტოსურათიანი ბანერი დავაზიანეთ, სასამართლოს წინაშე წარვსდექით და 5.000 ლარით დაგვაჯარიმეს, რაც გადავიხადეთ, ეს სამართლიანი ყოფილა და ორ ყოფილ ზონდერზე (ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რადგან „თავისუფალი ზონა“ ძირითადად ამ კონტიგენტითაა დაკომპლექტებული), რომლებმაც პარლამენტარს, მნიშვნელობა არ აქვს რომელი პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, თურმე კანონი არ უნდა ვრცელდებოდეს. ისე გამოდის, რომ ნაციონალებსა და მათ მხარდამჭერებს ყველაფრის უფლება აქვთ, გიორგი ბარამიძემ პოლიციელებს შეურაცხყოფა უნდა მიაყენოს, „ძაღლები“ უნდა ეძახოს, გიორგი კარბელაშვილმა მათ დედა უნდა აგინოს, მათ თურმე ამის უფლება აქვთ... ნაცმოძრაობის წევრებს მორალი რომ გააჩნდეთ, თვითონვე უნდა დაეყენებინათ კარბელაშვილის საკითხი, რომ ის პარლამენტში აღარ ყოფილიყო, მათთვისაც კი დიდი სირცხვილია კარბელაშვილი რომ წარმოადგენს პარლამენტში ნაცმოძრაობას. თუ სამართლიან სახელმწიფოს ვაშენებთ, მაშინ კანონდარღვევისთვის ყველამ პასუხი უნდა აგოს, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, პარტიული თუ ორგანიზაციული კუთვნილებისა. „თავისუფალი ზონის“ წევრების თემაც სუფთა სამართლებრივი საკითხია, მაგრამ ნაცმოძრაობა ცდილობს ყველა საკითხი პოლიტიკურ ჩარჩოში მოაქციონ და ამ მეთოდებით ებრძოლონ არა „ქართულ ოცნებას“ ან რომელიმე პოლიტიკურ ძალას, არამედ სახელმწიფოს.

- „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, ნაციონალების მხარდამჭერი მედია და არასამთავრობო სექტორი ამ პოლიტიკური ძალის მიერ შექმნილი ფონდებიდან მსუყედ ფინანსდებიან, თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამ ფონდებთან დაკავშირებით? და ერთიც, „რუსთავი-2“-ის გენდირექტორი გვარამია აშშ-ის ახალ ელჩთან შეხვედრის შემდეგ ძალზე კმაყოფილი და გაამაყებული ჩანდა, როგორც ჩანს მისმა პატრონებმა ხელშეუხებლობის გარანტია მიიღეს „მეფისნაცვალისგან“. რატომ ერევა ეს ხალხი სუვერენული ქვეყნის საშინაო საქმეებში?

- ფონდების თემა არახალია, ისინი ყოველთვის არსებობდა, ფონდი და არასამთავრობო ორგანიზაცია ხშირ შემთხვევებში ფულის „გათეთრების“ საუკეთესო საშუალებაა, რადგან რიგ ფონდში არავინ კითხულობს ფულის წარმომავლობას. იქ ჩარიცხულ ფულს სურვილისამებრ გამოიყენებ, თავისუფლად შეგიძლია ლავირება, მით უმეტეს, რომ ეს თანხა არ იბეგრება. სხვათა შორის, ამ ფონდებით დღესაც სარგებლობს ნაცმოძრაობა. მე საუბარი მქონდა ძალიან კომპეტენტურ პიროვნებასთან, რომელიც არასამთავრობო სექტორისა და გრანტების კუთხით მუშაობს, როცა რაღაც საკითხები შევაჯამეთ, სიმართლე გითხრათ, გაოცებული დავრჩი, იარაღისა და ნარკოტიკების ბიზნესი არაფერია თუნდაც საქართველოში მოქმედ გრანტების მაფიასთან შედარებით. ჩვენს ქვეყანაში გრანტის სახით კოლოსალური თანხები შემოდის, ძირითადად ევროპიდან, რუსეთიდანაც შემოედინება, ამ თანხებს ადგილზე რამდენიმე ადამიანი ანაწილებს, მაგრამ რეალური განმკარგულებლები და გამცემები სხვები არიან. მათ ვინაობას ვერ დაგისახელებთ, რადგან ბოლომდე არ არის დადგენილი, ამიტომ ბრალს ვერავის დავდებ, თუმცა ერთ მაგალითს მოვიყვან, გადახედეთ დავით დარჩიაშვილის ე.წ. სივის, ის ძალიან ბევრ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. შემდეგ ამ ორგანიზაციებმა ფონდებიც ჩამოაყალიბეს, და იმ ორგანიზაციებს აფინანსებენ, რომლებსაც ნეიტრალურობასა და არასამთავრობო სექტორის ფლაგმანობაზე აქვთ პრეტენზია. რომელიმე ორგანიზაციაში რომ ხანგრძლივად ვიმუშავებ, იქიდან ოფიციალურად წასვლის შემდეგაც ხომ ვრჩები ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა მეგობრად, საჭიროების შემთხვევაში ცხადია, სიტყვას შემაწევენ. აქედან გამომდინარე, არსებობს ინფორმაციები, რომ ნაცმოძრაობა დიდი ალბათობით ამ ფონდების საშუალებით ახდენს ძალიან დიდი თანხების მობილიზებას. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ნაცმოძრაობა სახელისუფლო კოალიციაზე შემოსავლიანი პარტიაა. მათ უბრალოდ ის უშლით ხელს, რომ საზოგადოებაში რეიტინგი არ აქვთ, ძალიან ცდილობენ, მაგრამ ფულითაც ვერ ახერხებენ თუნდაც რეაბილიტაციას. ამ უფასო კონცერტებს, ახალგაზრდული ბანაკების მოწყობას, კონფერენციებსა და ტრენინგებს კოლოსალური თანხები ჭირდება, მანამდე გინახავთ „რუსთავი-2“-ის მიერ მოწყობილი უფასო კონცერტი, ან ტელევიზია, რომელიც აქციას უწევს ორგანიზებას? ფაქტია, რომ ნაციონალებს აქვთ საჭირო ფინანსები, მაგრამ საიდან აქვთ? სასაცილოა იმაზე ფიქრი, რომ ის ბიზნესმენები, რომლებსაც წლების განმავლობაში ატერორებდნენ, მათ ახლა ფულს ურიცხავენ, ზუსტად ხსენებული ფონდებიდან ფინანსდებიან.

რაც შეეხება გვარამიას ამერიკის ელჩთან შეხვედრას, რაში ჩაერია ელჩი, ის უბრალოდ შეხვდა გვარამიას, ან ელჩის განცხადება რა შუაშია „ხელშეუხებლობასთან“. უბრალოდ ჩვენ თვითონ გვაქვს ასეთი რეაქცია, აი, ამერკის ელჩმა თქვაო, რითაც ცოტა არ იყოს, სასაცილოდ გამოვიყურებით. ელჩიც ჩვეულებრივი ადამიანია და შეიძლება თავისი მოქალაქეობრივი, თუნდაც ლიბერალური პოზიცია გამოხატოს, რაც შეიძლება სულაც არ იყოს პრეზიდენტ ობამას და ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის აზრი. ასე თუ მიდგა საქმე, მე მოვიტან იმ დასკვნებს, რაც ნაციონალების 9-წლიანი მმართველობის პერიოდში იდებოდა. ჰილარი კლინტონი რა წერილებს აგზავნიდა, როგორ ეუბნებოდა კეზერაშვილის უწყებას (თავდაცვის სამინისტრო), ვიკილიქსმა გამოაქვეყნა ეს სტატია, „ბელ ტრეიდინგ კონსალტინგთან“ არ ითანამშრომლოთ, რადგან რადგან ისინი ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონოდ ვაჭრობაში არიან შემჩნეულიო. ეს კომპანიებია, რომლებსაც თემურ ალასანია ლობირებდა და ლობირებს, მაშინ რატომ არ ჰქონდათ ნაციონალებს ასეთი რეაქცია, ამერიკელებმა თქვესო. სხვათა შორის, ამის მერე იყო ამერიკამ საერთოდ რომ გაწყვიტა ოფიციალური კონტაქტი საქართველოსთა, ვგულისხმობ გრანტებსა და ტრანშებს. ობამა პრეზიდენტი რომ გახდა, პირდაპირ გაწყვიტა კავშირი საქართველოს ხელისუფლებასთან, რადგან იცოდა რეალურად ვინ იწყვნენ ეს ადამიანები. სააკაშვილმა ვერცერთხელ ვერ მოახერხა მასთან შეხვედრა. ნაციონალები თავისი განცხადებებით, საზოგადოების „აგდებას“ ცდილობენ, რომ თურმე ამა თუ იმ ქვეყნის ელჩმა რა თქვა, ან რა დასკვნა დადო ევროკავშირმა. ეს დასკვნა ევროკავშირში კი არ დაიდო, ევროპის სახალხო პარტიის ლიდერმა თქვა და იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილის მეგობარი გახლავთ. მეც რომ მყავდეს დასავლეთში ისეთი ძმაკაცი, რომელიც ხვალ-ზეგ რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი გახდება, შეიძლება ყველაფერი გაითვალისწინოს, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ პირადი ურთიერთობიდან გამომდინარე, შეეცდება არც მე მაწყენინოს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ელიზბარ ჯაველიძე:

ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაიგოს – ხელისუფლებაში სახეშეცვლილი „ნაციონალების“ დაბრუნება საქართველოს სიკვდილს ნიშნავს

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მწერალი, აკადემიკოსი ELIZBARI ჯაველიძე:

– ბატონო ელიზბარ, კობიტაციის შედეგად ხელახლა შობილი „ნაცმოძრაობა“ ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით აქციებს აწყობს. საზოგადოება მათ გასამართლებას ითხოვდა, მაგრამ რეალურად, ისინი მკვდრეთით აღდგნენ და თავის გადასარჩენად, ქვეყანაში, კრიზისული სიტუაციის შექმნასაც არ ერიდებიან. როგორ ფიქრობთ, სადამდე მიგვიყვანს მოვლენების ამგვარი განვითარება?

– მოდით, ნუ დავამცირებთ ივანიშვილის ღვაწლს. საშინლად არ მსიამოვნებს, როცა მის მიმართ უმადურობას იჩენენ. მან დიდი საქმე გააკეთა – ბნელეთის წარმომადგენლები კუთხეში მიყუჟა, პირობა შეასრულა – „ნაციონალები“ ხელისუფლებას ჩამოაშორა და პოლიტიკიდან წავიდა. მაგრამ უბედურება სხვა რამაა – ქართველმა ხალხმა „ნაციონალები“ იმიტომ მოიშორა, რომ სამართალი აღმდგარიყო, რამაც სამწუხაროდ, დღემდე პური ვერ ჭამა. რომელ რაიონშიც არ უნდა ჩახვიდეთ, პროკურატურასა და სასამართლოში, დაჩაგრულ ადამიანთა ბედს ისევ ის ხალხი წყვეტს, ვინც მათ გაუბედურებაში მთავარი როლი ითამაშა. დედაქალაქშიც ასეა, სამართლის საძებრად მისულ ადამიანებს პროკურატურაში იგივე პროკურორები ხვდებიან. ეს ყველაზე დიდი ნაკლი და დანაშაულია, რამაც ხალხი აღაშფოთა და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ განაწყო. ეს, რა თქმა უნდა, არც ივანიშვილის ბრალია და არც ამ ხელისუფლების, არამედ ეს აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზია. აშშ-მ იცის, რომ საქართველო დენთის კასრს ჰგავს, საკმარისია ასანთის ერთი ღერის გაკვრა და აფეთქდება. სწორედ ამის ეშინია ამერიკას ოღონდ არა იმიტომ, რომ მას საქართველოს ან ქართველი ხალხის ბედი აწუხებს, არამედ ამგვარ რევოლუციას იმ სისტემის ნგრევა მოჰყვება-ხოლმე, რომელზეც მისი გავლენა დგას. ამიტომ, მათ სააკაშვილის მოშორების დიდი სურვილი არ ჰქონდათ, მაგრამ სამაგიეროდ, ისეთი ადამიანი მოიყვანეს, რომელსაც ქართველი ხალხი ენდობოდა. ივანიშვილის სურათიც კი არავის ჰქონდა ნანახი, იგი დიდი ქველმოქმედია, მთელი ინტელიგენცია და ხელოვნების მუშაკები მისი გადარჩენილია. დღესაც, ბევრი წამლის ყიდვას სწორედ მისი წყალობით ახერხებს. ბუნებრივია, ივანიშვილი „ნაცმოძრაობისგან“ განაწყენებული იყო, რადგან ხალხი ვისაც აქამდე გვერდში ედგა, ნაძირლები აღმოჩდნენ. მას ეგონა გვერდში დგომით, საქმეს სიკეთისკენ წავიყვანო, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის გარდაქმნა შეუძლებელია. ცნობილ თურქ პოეტს აშიკ ფაშას აქვს ასეთი ლექსი: გაყინული გველი არ აიყვანო და უბეში არ ჩაისვა, თორემ გათბება და გიკბენსო. აი, ასე მოუტრიალდა ბატონ ბიძინას სააკაშვილი თავისი გუნდით და გაწეული სიკეთისთვის, მადლობის თქმის ნაცვლად, კბენა დაუწყო. ივანიშვილს იმ გმირობასაც ნუ დავუკარგავთ, რომ ბრძოლის არენაზე გამოვიდა. მისი ფიზიკური განადგურება ისე როგორც მისი წინამორბედის – პატარკაციშვილის, საკმაოდ ადვილი იყო. ხომ გახსოვთ – მისი დაცვა განაიარაღეს და მის ლიკვიდაციას აპირებდნენ, თუმცა, აშშ-ს იმდროინდელი ელჩის ნორლანდის ჩარევამ იხსნა.

– ივანიშვილის შესაძლო ლიკვიდაციის საფრთხეზე დღესაც საუბრობენ.

– დიახ, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ივანიშვილს საყვედურობენ, „რესპუბლიკელები“ და სხვა ურეიტინგო ძალები პარლამენტში შეიყვანაო. მთელი ამერიკა, ევროპა სწორედ ამაზე მუშაობდა – სისტემა გადაერჩინათ. სხვა შემთხვევაში, აბსოლუტურად ეროვნული ძალები რომ მოსულიყვნენ, ამ სისტემას დაანგრევდნენ. ამიტომაც მოგვახვიეს კობიტაცია. გავიხსენოთ, უსუფაშვილის განცხადება: ჩვენი მიზანი „ნაცმოძრაობის“ გადარჩენაა. ეს გადარჩენილი, გაყინული გველები, რომლებიც სოროში იყვნენ შემძვრალნი და უკან ვერ იხედებოდნენ, იქვე ჩაიხრჩობოდნენ და ჩაიწვებოდნენ კიდეც, მაგრამ კობიტაციამ გამოაცოცხლა. ზოგადად, მთელი დასავლეთი და ამერიკა დღესაც მათი გადარჩენისკენაა მოწოდებული, ბრმა უნდა იყო ამას რომ ვერ ხედავდე – მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის ნაძირლები, რომლებიც წესით უნდა გასამართლებულიყვნენ, უკრაინაში წაიყვანეს და ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დასვეს. ეს რას ნიშნავს? – ამით ამერიკა ამბობს, რომ ადამიანებს რომლებიც მათ პოლიტიკას მხარს უჭერენ, ყველა დანაშაული ეპატიებათ, შეუძლიათ კაცი მოკლან, იქურდონ, რასაც ყურადღებას არ აქცევენ, მთავარია ის პოლიტიკა გაატარონ, რომელიც მათ მართებულად მიაჩნიათ. სხვათა შორის, პერკინსიც „ეკონომიკური მკვლელის აღსარებაში“, როემლიც თქვენმა რედაქტორმა თარგმნა, ამას წერს – ამერიკა ამბობს, რაც გინდა გააკეთე, ოღონდ ჩემი პოლიტიკა გაატარე.

– თანაც, როგორც ამბობენ, „ნაციონალებს“ დიდი შავი ფული აქვთ, რითაც მარტივად შეუძლიათ სიტუაციის მართვა და ქვეყანაში არეულობის გამოწვევა.

– დიახ, ჯერ ერთი, „ნაციონალებს“ მართლაც დიდი ფული აქვთ. ივანიშვილს თუ აქვს ფული, ეს დიდი შრომითაა მოპოვებული, მაგრამ ნაცებს ჩვენი ფული, მილიარდები საზღვარგარეთ აქვთ გატანილი, გაცილებით მეტი, ვიდრე ივანიშვილის ქონებაა. ახლა, სწორედ ამ მილიარდებს ატრიალებენ. ადრე, გზები გახსნილი იყო და თანხა თავისუფლად შემოჰქონდათ, ახლა, ამას ველარ ახერხებენ და ატეხეს კიდეც ერთი ამბავი. მაგალითად, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული მოვლენები ავიღოთ. ეს ტელევიზია ბოროტების მთესველია, თუ სადმე, საქართველოში უსამართლობა გაჭაჭანდა მათი დამსახურებაა. რასაც დღეს, „რუსთავი-2“ აკეთებს, ეს ანტისახელმწიფოებრივი, ხელისუფლების დამხობისაკენ მიმართული პირდაპირი მოწოდებაა, რაც კონსტიტუციურად ისჯება. ამის ნათელი მაგალითია, ყოფილი პროკურორის ნიკა გვარამიას განცხადება – ვიდრე ჩვენ გაგვგუდავენ, თავად გავგუდავთო. ეგ, ვინ გდია? – ადრე ტრაბახობდა ტოლსტოი არ წამიკითხავსო. იგი უწიგნური, გაუნათლებელი კაცია.

– დასავლეთმა საზოგადოების მოლოდინი ვერ გაამართლა. ბევრს ევროპა გეიპარადი ჰგონია და არა ის ღირებულებები რაც ქართველ ერს ოდითგან მოგვსდევს.

– დღეს ასეთი სიტუაციაა, რა თქმა უნდა, დასავლეთი იღრინება. ხელისუფლებაში გამოკვეთილი კაცია ირაკლი ღარიბაშვილი, რომელსაც არ ვიცნობ, ხელიც არ ჩამომირთმევია, მაგრამ მწამს, რომ მართალი კაცია, ქართულად აზროვნებს. მან გაცხადა – ქართველი კაცი არ შეეგუება ერთსქესიანთა ქორწინებას. ასევე, თქვა: ქართული ოჯახი ქალისა და მამაკაცისაგან შედგებაო. ამაზე შავი ტარაკნებივით დაესიენ, უნდოდათ შეეჭამათ, მაგრამ მერკელმა უშველა, მანაც ზუსტად იგივე განაცხადა. ღარიბაშვილი პირდაპირ ამბობს – „ნაციონალები“ არიან ბანდიტები, სექტა და მათ არ დაველაპარაკებიო. მას, არამარტო „ნაციონალები“ ებრძვიან, არამედ ის მომიჯნავე ძალა, რომელიც დღეს, ჩემი აზრით, იდეოლოგიისა და აზროვნების თვალსაზრისით ნაცების იდენტურები არიან, ერთი სისხლი, ერთი ჯიში, ერთი გონი აქვთ. ესაა „რესპუბლიკელები“, რომლებიც აღარც მალავენ საკუთარ მოსაზრებებს. თავად ხიდაშელის საქციელი ხელისუფლების გამოწვევაა. მან სასამართლოს მიერ გაუმართლებელი ადამიანები სამსახურში დააბრუნა, ამით თქვა – კაბა მაცვია, მაგრამ რეზო ამაშუკელის თქმის არ იყოს, კაბის ქვეშ ტყვიამფრქვევი მაქვსო. იმ ტყვიამფრქვევს უკან რომ მიუტრიალებენ, მერე, გაიგებს ვინ როგორი ტყვიამფრქვევის მფლობელია. მისი განცხადებები უაზრო, მავნებლური და ქვეყნისათვის ზიანის მომტანია. აქედან გამომდინარე, არ მიკვირს რაც დღეს ხდება.

– საქმე იქამდე მივიდა, რომ ევროპის საბჭომ რეზოლუცია „ნაცების“ სასარგებლოდ მიიღო.

– რომელ პოლიტიკურ დევნაზეა საუბარი?! ამ ხელისუფლების „დანაშაულად“ მიამჩნია ზედმეტად ლოიალობა და, რაც მთავარია, მათი ნაკლი ისაა, რომ უფრო დასავლეთისკენ, ამერიკისკენ იხედებიან და მათ აზრს უწევენ ანგარიშს, ვიდრე ქართველი ხალხისა. იმიტომ, რომ ქართველი ხალხის ცნობიერებაში ხიდაშელი თავდაცვის მინისტრი ვერასოდეს იქნება. პირადად, ამერიკის, იმ პრეზიდენტის,

→

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

რომელიც პიდარასტი მთავარსარდლით ამაყობს, არაფერი მწამს, ეს ავადმყოფობა, სქესობრივი და აზროვნების გამრუდებაცაა. ეს უზნეობის ზეიმია. აქედან გამომდინარე, ობამა პირდაპირ ამბობს, ერთსქესიანი ქორწინება მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიერ უნდა იყოს აღიარებული და ჩვენს ყველა შტატში დავუშვათო. ესაა მათი პოლიტიკა. გვეუბნებიან, ბავშვი ისე გაზარდეთ, რომ 14-16 წლის ასაკში გარკვიოს ქალია თუ ვაჟიო, რასაც ქართველი კაცი ვერასოდეს გაითავისებს. აქედან მოდის ქართველი კაცის აზროვნების სტრუქტურის მსხვრევა. ეს მარტო ასე არ ხდება – ყველა ტელევიზია რომელიც დღეს საქართველოში არსებობს (ერთიორი გამონაკლისის გარდა) ფულზე გაყიდულია და ადამიანების ტვინის გამორეცხვაზე მუშაობს. დღეს, ინგლისში და ამერიკაში 60-ზე მეტი ინსტიტუტი ტვინის გამორეცხვის პრობლემებზე მუშაობს, ეს პროექტები მილიარდებით არის დაფინანსებული. დღეს, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ტვინგამორეცხილია, მისჩერებია ტელევიზორს „რუსთავი-2“-ს თუ სხვას და ჰგონია, რასაც იქ ამბობენ, ეს მისი აზრია. ეს მზა ფორმულები მოაქვს დღეს ყველა ტელევიზიას, რაც გულისამრევია. ამიტომ, ქართულ ტელევიზიებს საერთოდ აღარ ვუყურებ. ისინი ყველანი ქართული სახელმწიფოს მტრები არიან, საზოგადოებას ათაყვანებენ. ქართველი ხალხის გინება არ მიყვარს, ახლა ეს მოდაშია, მაგრამ ვხედავ რომ რასაც ამბობენ, ფაქტია.

– საზოგადოების ტვინის გამორეცხვაში არანაკლებ როლს ასრულებს სოკოებივით მომრავლებული არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

– საქართველოში 2 ათასამდე არასამთავრობოა, მეტი ნაწილი ან მიშისტია ან ფულზეა გაყიდული. ვინც კი თანამდებობა დატოვა, ყველამ არასამთავრობო გახსნა, თანაც, დიდი ნაწილი ამერიკიდან ფინანსდება. განსაკუთრებით, გიგაური და ლომჯარია, ეს ტუტრუცანა გოგოები, რომელთაც წიგნი არ აქვთ წაკითხული. თუ დამიმტკიცებენ, რომ „დედა ენა“ ან „თხა და გიგო“ წაკითხული აქვთ, ხმას არ ამოვიღებ. არაფერი წაუკითხავთ და ამ დროს, სხვადასხვა სფეროში ყველა საკითხზე ესენი მსჯელობენ. ის ხალხი კი ვინც აზროვნებს და ჭკუა მოეკითხება, ტელეეკრანზე არ ჩანს.

– ნაციონალები აქციებს, გამოსვლებს აანონსებენ.

– „ნაცებმა“ ბევრჯერ მოინდომეს, მაგრამ 10 ათასი კაციც ვერ შეკრიბეს. „სახალხო კრებამ“ 35-40 ათასი ადამიანი გამოიყვანა. „ნაციონალები“ თავს მაგრებად გვაჩვენებენ, ყოველ წუთას გამოდიან, ხან ვის ლანძღავენ და ხან ვის. მათ სალაპარაკოდ არც უნდა დაუჯდე, მათთან ჩემი დონის კაცი არ მეგულება, ან თუ დაუჯდები, მიწაში უნდა ჩადო. ტელევიზიებით ისე ჩანს თითქოს, ქვეყანა ინგრევა და ამას ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, არიქა, წყალდიდობაა – ივანიშვილის ბრალია, მზეზე აფეთქება მოხდა – ესეც ივანიშვილის ბრალია, კარგით რა, სირცხვილია. ივანიშვილმა თავის საქმე გააკეთა და გვერდზე გადგა. ახლა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, გვინდა „ნაციონალები“? ვისაც „ნაციონალები“ უნდა, თუ ასეთი საერთო აზრი არსებობს, მე, ასეთ საქართველოში ცხოვრება არ მინდა, ასეთი ქართველი არ მინდა, ის ქართველი არცაა. იმიტომ, რომ „ნაციონალებს“ სძაგთ, ეჯავრებათ საქართველო და როგორ შეიძლება ნამდვილ ქართველს საქართველოს მოძულე უნდოდეს?! მათი ბრძოლის ხერხები ამაზრზენია. გახსოვთ, ვენახის რევოლუცია რომ მოაწყვეს, ვიღაცას ვაზი ააჩეხინეს და ერთი ამბავი ატეხეს. მერე, გაირკვა, რომ ეს ფული „რუსთავი-“2-მა გადაიხადა და ვიღაცას სხვისი ვენახი ააჩეხინეს. ძალიან კარგად მახსოვს სააკაშვილის დროს გამოცემული ბრძანება, თუ არ ვცდები მაშინ პრემიერი გურგენიძე იყო, – ვენახს ვინც აჩეხავს 2 ათას ლარს მიიღებსო. ეს შაჰ-აბასსაც არ უქნია, „ნაციონალებმა“ კი გააკეთეს. ესენი ყველანი ციხეში უნდა იყვნენ. მეცნიერი კაცი ვარ, ამას არ უნდა ვამბობდე, კაცი ციხეში არ უნდა გემეტებოდეს, მაგრამ მართალი გითხრათ, მათთვის ციხეც მენანება, მაგათ ფეხებ ქვეშ ცეცხლი უნდა ეწვოდეთ. „ნაციონალები“ საქართველოში დამარხვის ღირსი არ არიან, უნდა განიდევნონ, ისე როგორც კეთროვანებს ასახლებდნენ ცალკე კუნძულზე, ან შუა ზღვაში უნდა გაუშვა და ააფეთქო როგორც ეს ჰიტლერმა გააკეთა. სხვანაირად, მათთან საუბარი ან მორჯულება, წარმოუდგენელია.

მარგველაშვილი – ეს მქარგავი კაცი პოლიტიკაში ჩაერია. მარგველაშვილი, ყველამ ვიცით, „თავისუფლების ინსტიტუტიდანაა“ ამოზრდილი. როდის ვწერდი მისი პრეზიდენტად არჩევა არ შეიძლება-მეთქი. დღეს, „რესპუბლიკელები“, „ნაციონალები“ ერთად არიან, მათ გვერდს უმშვენებს პრეზიდენტიც. ასევე, ალასანიას ხალხიც აყვნენ „ნაციონალებს“, შეიკრა ბირთვი და იბრძვიან. ამ დროს, თვითონ „ქართული ოცნების“ შიგნითაც ურთიერთდაპირისპირებაა, ეს უკვე დაღუპვაა. ირაკლი ბათიაშვილმა თქვა, ივანიშვილის ლიკვიდაცია მზადდებაო, რაც კატასტროფა იქნება, მაშინვე არეულობა დაიწყება. სწორედ, ეს არეულობა უნდათ „ნაციონალებს“, რადგან მათ კარგად იციან, რომ არჩევნების გზით, თუ იგი ნორმალურად ჩატარდა, 5%-საც ვერ გადალახავენ იმიტომ, რომ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი შეიძლება „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენებულია, მაგრამ „ნაციონალებს“ მხარს არასოდეს დაუჭერს. ვინც ასე მოიქცევა, ის არანორმალურად მიმაჩნია, ან გაყიდულია. ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაიგოს – ხელისუფლებაში სახეშეცვლილი „ნაციონალების“ დაბრუნება საქართველოს სიკვდილს ნიშნავს. სააკაშვილი მმართველობაში კიდევ რამდენიმე თვე რომ დარჩენილიყო, საქართველოს ხსენება აღარ იქნებოდა. დღეს, უკრაინის ბრძოლაში ვიქნებოდით ჩართული და როგორც უკრაინა აღარაა ქვეყანა, ისე მოხდებოდა ჩვენ შემთხვევაშიც, მიწასთან ვიქნებოდით გასწორებული.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ზურაბ გაგნიძე:

სერგო რატიანი ყოველთვის გიგი თევზაძის გავლენის ქვეშ იქნება

„საერთო გაზეთს“ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე ესაუბრა:

– ჩვენს წინა ინტერვიუში გითხარით, რომ როგორც ფილოსოფოსი, ქვეყნის პრეზიდენტის პრობლემას მის დახშულ ინდივიდუალიზმში ვხედავ, სერგო რატიანთან დაკავშირებით კი სრულიად საპირისპირო დასკვნამდე მივედი. ეს ადამიანი მოკლებულია ინდივიდუალიზმს და მთლიანად დამოკიდებული სხვებზე. რომელ პოლიტიკურ ძალასაც არ უნდა წარმოადგენდეს, სერგო რატიანი ყოველთვის გიგი თევზაძის გავლენის ქვეშ იქნება და ყოველთვის მასზე იქნება დამოკიდებული.

– დამოკიდებულებაში რას გულისხმობთ?

– სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებთ, შეგახსენებთ, რომ სერგო რატიანი 2005 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, აკადემიურ თანამდებობებზე შესარჩევი კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს. ამ ადამიანმა იმდენი მოახერხა, რომ კონკურსის შედეგად, უნივერსიტეტი დაატოვებინა საკუთარ პროფესორ-მასწავლებლებს. ფაქტობრივად, ამ კონკურსის შედეგად ფაკულტეტმა არსებობა შეწყვიტა. იმავე პერიოდში, ფილოსოფიის ფაკულტეტი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც გაუქმდა. რატიანის უშუალო მცდელობით და მონაწილეობით მოხდა ასევე ფილოსოფიის ინსტიტუტის დახურვა. ამით იმის თქმა მინდა რომ ე.წ. რადიკალ-ლიბერალები „შავ სამუშაოს“ პირველად რატიანის ხელით აკეთებდნენ. აქედან გამომდინარე, მას დამოუკიდებელ სუბიექტად ვერ მოვიაზრებ. ის ყოველთვის მამა-შვილი თევზაძეების, ნოდიას და სხვათა „ჩრდილში“ იყო და ასე ჩამოყალიბდა მისი პიროვნული სტრუქტურა. ის, რომ შემდეგ პარლამენტარი გახდა, მის დამოკიდებულ პიროვნებას ვეღარ ცვლის. ასე, რომ ჩემი აზრით, რატიანს წარმართავს მცდარი ცნობიერება და აქედან გამომდინარე, მცდარი მიზნები. ამან მიიყვანა იგი ანტიეროვნულ, ანტირელიგიურ და ანტიჰუმანულ გზამდე. ბუნებრივია, რომ მცდარი ცნობიერებისა და დიდი ამბიციების მქონე ადამიანმა სხვებთან ერთად, კრიზისში ჩააგდო ქართული განათლება და მეცნიერება. ამდენად, მე მას განვიხილავ, როგორც ანტიმეცნიერს, ანტიფილოსოფოსს და ანტირეფორმატორს. ეს ადამიანი საკუთარი ინტერესებისთვის ისევე გაწირავს ნებისმიერს, როგორც 2005 წელს საკუთარი პროფესორ-მასწავლებლები გაწირა. ვფიქრობ, შემდეგი გიგა ზედანია იქნება..

– რატომ?

– იმიტომ, რომ როგორც კი პარლამენტში ყოფნის ვადა ამოეწურება, სერტო რატიანი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობას დააპირებს. ჩემი ფილოსოფიური ხედვით, ზედანიას მისგან რეალური საფრთხე ემუქრება. თუ მან მოინდომა, ზედანიას უპრობლემოდ ჩამოიცილებს და რექტორი გახდება. რატიანისა და მისი თანამოაზრეების მიერ გატარებული რეფორმები კი თავისი სისასტიკით, რევოლუციებზე აღმატებულია. ადამიანებს, რომლებიც ვერ იტანდნენ განსხვავებულ აზრს და ოპონენტებს ყველა საშუალებით იცილებდნენ თავიდან, არაფერი აქვთ საერთო ნამდვილ ლიბერალურ ფასეულობებთან. სწორედ მცდარმა ცნობიერებამ და დიდმა ამბიციებმა „ამოატრიალეს“ ამ ადამიანში ყველაფერი, რაც კი ოდესმე წაუკითხავს და გაუგია. ის აღარ ვითარდება და ცდილობს, სამყარო და ადამიანები საკუთარ პოზიციებს მოარგოს. ასეთი პიროვნებები მეცნიერებაშიც საშიშები არიან და ფილოსოფიაშიც.

ნელი თორდია
571 35 36 88

ომარ ნიშნიანიძე:

პარტიის მშენებლობაზე რა გითხრათ... ვაშენებთ, ვაშენებთ და ვაშენებთ, მაგრამ როგორ ვაშენებთ და გამოგვივა თუ არა რამე, არ ვიცით...

„საერთო გაზეთი“ „ქართული ოცნების“ დეპუტატ ომარ ნიშნიანიძეს ესაუბრა.

— ბატონო ომარ, პარტია „ქართულ ოცნებას“ საკმარისი დრო ჰქონდა, რომ ძლიერ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ რატომღაც ეს ასე არ მოხდა?....

— პარტიის მშენებლობაზე რა გითხრათ, აღარ ვიცი, ე.ი, ვაშენებთ, ვაშენებთ და ვაშენებთ, მაგრამ რას ვაშენებთ, როგორ ვაშენებთ და გამოგვივა თუ არა რამე, არ ვიცით, სიმართლე გითხრათ, ცოტა სკეპტიკურად ვარ განწყობილი. დიახ, იბადება კითხვა, მიზანმიმართულად ხომ არ ჭიანურდება ეს საქმე, აი, ამასაც კი ვფიქრობ უკვე. არჩევნები კარსაა მომდგარი და ჩვენ სამი წელია ვაშენებთ პარტიას და რით ვერ ავაშენეთ, რა არის ასეთი, ვერ გამიგია. თქვენ გახსოვთ, მე რამდენიმეჯერ ავტეხე ერთი ამბავი და მეგონა, დავძარი ადგილიდან ეს საკითხი, მაგრამ ნურას უკაცრავად. სამწუხაროდ, დრო და დრო მინავლდება ხოლმე ეს პროცესი. აი, ახლაც მეუბნებიან, რომ მიდის პარტიის მშენებლობა, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავ, რა გითხრათ, არ ვიცი. იცით, ჩვენ მაინც და მაინც საქმის კურსში არავინ გვაყენებს და ღმერთმა ქნას, რაღაც აშენდეს ბოლოს და ბოლოს და ვიხილოთ პარტია, როგორც ასეთი. ჯერჯერობით პარტია, რომ არ არის და არ არის განსაკუთრებით რეგიონებში, რაიონებსა და ქალაქებში. სოფლებზე ხომ საერთოდ აღარაა ლაპარაკი.

ირაკლი კობახიძე

— თქვენ რით ხსნით ამას? პარტიის მშენებლობა მაისში თუ არ დასრულდებოდა, განცხადების გაკეთებას აპირებდით...

— რა გითხრათ, ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერაფრით ვხსნი, ერთადერთი მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნურად ხდება პარტიის მშენებლობის გაჩერება ?! კარგი, დავუშვათ, ვიღაც-ვიღაცები აფერხებენ ამ პროცესს, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ, ჩვენ, ვისაც ევალება ამ საკითხის მოვლა-პატრონობა? თუმცა როგორც გითხარით, ჩვენ, რა ხდება და რა იგეგმება, ამის საქმის კურსშიც კი არ გვაყენებენ. თქვენ იცით, რომ მთავარი ფიგურა **ირაკლი კობახიძეა,** მართალია, **კახი კალაძე** პარტიის გენერალური მდივანია, მაგრამ აღმასრულებელი ფუნქცია კობახიძეს აქვს. ახლა კალაძე მინისტრია, ვიცე-პრემიერია, უამრავი საქმე აქვს, ჩვენ ეს ვიცით და გასაგებია, მაგრამ ეს ახალგაზრდა ბიჭი რას აკეთებს, კაცო, აი, ეს უკვე გაუგებარია?! გასაგებია, განათლებულია, ნიჭიერია, მაგრამ გაუგებარია, რა გამოცდილება ჰქონდა ისეთი, რომ პარტიის აღმასრულებელი მდივანი გახდა და პარტიის კარსაა მომდგარი! ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ რეგიონებში და ქუთაისსა და თერჯოლაში, რაზე ვმუშაობთ და რას ვაპირებთ, არ უნდა ვიცოდე, კაცო?

— კი, მაგრამ, ბატონო ომარ, „ქართული ოცნების“ დეპუტატებთან შეხვედრები და კონსულტაციები არ აქვს კობახიძეს, ბოლოს როდის გესაუბრათ სამომავლო გეგმებზე?

— არა, რას ამბობთ, რა შეხვედრები, რის შეხვედრები. ბოლოს როდის შევხვდით კობახიძეს, არც მახსოვს, ინტერვიუ რომ მოგეცით მაშინ, აპრილი იყო, თუ არ ვცდები. მას შემდეგ არანაირი კომუნიკაცია არ გვქონია და არ ვიცი, რა ხდება. შეიძლება არც არის პარტიის მშენებლობის პროცესი გაჩერებული, ერთმნიშვნელოვნად არ ვამბობ, რომ რაღაც გაიყინა, მაგრამ მე მეტს ვითხოვ.

ჩემი ყველა კოლეგა წუხს ამაზე, იგივე **ლორთქიფანიძე, ქუცნაშვილი, ხუნდაძე,** შეიძლება ჩემსავით ხმამაღლა არ ამბობენ ამას, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს ასეა. ხალხო, საარჩევნო კამპანია დაიწყო ყველა პარტიამ, მათ შორის ჩვენს კოალიციაში რომ არიან იმათაც კი, დიახ, იმათაც კი და ჩვენ რას ვაკეთებთ? აღარაფერს ვამბობ ოპოზიციაზე, ისინი უკვე საარჩევნო მარათონში არიან ჩაბმული, ჭენებ-ჭენებით მიდიან წინ. არ გვინდა გაღვიძება თუ რაშია საქმე? მე დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს პერიოდში ფრაქცია მაინც შეიკრიბება და ფრაქციის სხდომაზე მაინც ითქმება ეს ყველაფერი. უმრავლესობის ლიდერიც კი არ გვყავს, რომელსაც ხელეწიფება ამ საკითხების დასმა. ჯერჯერობით ისიც კი არ ვიცით, ვინ იქნება უმრავლესობის ლიდერი, აი, ესეც კი ჭიანურდება.

— არსებობს ინფორმაცია, რომ დღეს „ქართულ ოცნებაში“ ასეთი სიტუაციაა - ცდილობენ ივანიშვილის კადრები არ გააჩერონ პარტიაში, ღარიბაშვილის კადრები კი უკვე გაფერთხეს პარტიიდანო...

— ერთს გეტყვით, ჩემმა ახლობლებმა რამდენიმეჯერ განცხადება დაწერეს პარტიაში შესვლის თაობაზე, (ახლახანაც დაწერეს) და ვერ მოხერხდა მათი პარტიაში გაწევრიანება. კაცს რეიტინგდაკარგულ პარტიაში გაწევრიანება, რომ მოუნდება და არ მიიღებ, რას ნიშნავს, ეს მე არ ვიცი. მე, პირადად, ეს საკითხიც კი ვერ მოვაგვარე, ვერ გავაწევრიანე ეს ადამიანები და რაღა გითხრათ, აბა?! აცხადებენ, პარტიაში გაწევრიანება დროებით შეჩერებული, დროებით შეჩერებულიაო. აი, მოვიდა ოქტომბერი და პარტიაში გაწევრიანება კვლავ შეჩერებულია, გაყინულია. დიახ, გაყინულია გაულღობლად, გლობალური დათბობაც კი ვერ შველის ამ საკითხს. მეტი რა გითხრათ, გია წყვეტს, ირაკლი თუ ვინმე სხვა არ ვიცი, შეჩერებულია პარტიაში გაწევრიანება. ამბობენ, რეგიონებში აღმასრულებელი მდივნებისა და პარტიის თავმჯდომარეების შერჩევა მიდისო, პარტიის თავჯდომარეებიდან ნაწილი დარჩება, ნაწილი გადარჩეული იქნებაო, არ ვიცი, ეს რამდენად შეეფერება სიმართლეს. ალბათ მიდის ეს პროცესი, მიდის, მიდის, და ვერ მივიდა ლოგიკურ დასასრულამდე. პირველად იანვარში ვთქვი, რომ დალუქულია ოფისები-მეთქი და ახლაც იგივე სიტუაციაა, თავად განსაჯეთ, რა ხდება. როგორც ჩანს, ერთი წლის თავს გადავუხდით, ალბათ. როგორც ვიცი, პარტიაში სულ უნდა ხდებოდეს ხალხის მიღება, რას ჰქვია გაჩერებულია, არ ვიცი, კარგი, დავუშვათ, ერთი-ორი თვით შეაჩერებ ამ პროცესს, ესეც არ მესმის რატომ უნდა გააკეთო, მაგრამ მაინც, თუმცა შეაჩერო წლობით? 2 წელი პარტიაში ხალხის მიღება შეჩერებული იყოს? აი, ეს უკვე აღარ მესმის!

— სხვათა შორის, ბატონო ომარ, იმასაც ამბობენ, რომ პარტია „ქართული ოცნება“ კოალიციას გამოეყოფაო... რამდენიმე დეპუტატს თვალი ბურჯანაძისკენ გაურბისო...

— არ მგონია, რომელიმე დეპუტატმა დატოვოს პარტია, თუმცა გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, შეიძლება ერთი-ორი კაცი გამოჩნდეს ასეთი. მე, პირადად, არ ვაპირებ კოლაბორაციონისტობას...სადაც დავდექი იქ ვიდგები ბოლომდე. თუ წავალ, წავალ სახლში, შევარდნაძე გამახსენდა ახლა, დიახ, წავალ სახლში. ბურჯანაძესკენ შეიძლება გაურბის ვიღაცას თვალი, მაგრამ არა მგონია, ამან მიიღოს მასშტაბური სახე. ვის უციმციმებს ახლა თვალები, ვერ გეტყვით. პროქართული, ქართული აზროვნებისა და მენტალობის პარტია სჭირდება ქვეყანას, აი, ამას ვამბობ მე. პარტია, რომელიც დაიცავს ჩვენს ტრადიციებს, ზნეს, ჩვეულებას, არ იქნება პროამერიკული, პრორუსული, არამედ იქნება ქართული, ქართული სახელმწიფოს ინტერესების დამცველი და ქართული საქმის მაკეთებელი. მე ეს დავინახე „ქართულ ოცნებაში“ და ამიტომაც მივედი იქ და ესაა ჩემი სურვილი და იმედი არ დამიკარგავს ჯერ, ან არ მინდა, რომ დავკარგო. თუმცა ამასობაში გაგულავდა ყველა, ჩვენს გარდა ყველა აკეთებს თავის საქმეს და ყველა ემზადება არჩევნებისთვის, იგივე რესპუბლიკელები და ჩვენ ვართ გალახული ბიჭებივით და რატომ, რა დავაშავეთ, კაცო?

ლიკა გვაზავა

ტერორისტული ბუმერანგი ევროპისათვის

აშშ-ის საჩუქარი ევროპას

გაერო-ს ასამბლეის გლობალური განვითარების სამიტზე გამოსვლისას, ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მას ვერ აუხსნია, რა დაუშავა სირიის კანონიერმა პრეზიდენტმა ბაშარ ასადიმ ევროპას: — „მოდით, გავიხსენოთ ფაქტები: ბირთვული იარაღის ძიების საბაბით ერაყის დემოკრატიზაცია განიზრახეთ, დაამხეთ პრეზიდენტი ჰუსეინი და სად ნახეთ ბირთვული იარაღი? სად არის დემოკრატია ერაყში? იმის ნაცვლად, რომ შეჩერებულიყავით და ბოდიში მოგეხადათ, უფრო შორს წახვედით, იმავე სცენარით დაიწყეთ ტუნისი და დაამთავრეთ ლიბიით.. ბატონებო, იქნებ გეყოთ? მაგრამ, არა! შეიჭერით და ააოხრეთ სირია! რატომ კლავთ უდანაშაულო ხალხს, მათ შორის ბავშვებს? რატომ ცდილობთ დაამხოთ კანონიერი პრეზიდენტი ასადი, რა დაგიშავათ?“

ლუკაშენკო რა მოსატანია, როცა აგერ ახლახანს ტელეკომპანია NBS-სთან ინტერვიუში რესპუბლიკელმა მილიარდერმა, აშშ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა დონალდ ტრამპმა პირდაპირ განაცხადა: — „მომწონს, რომ რუსეთი მიწასთან ასწორებს ისლამურ სახელმწიფოს“ სირიაში, რადგან მან კარგადა უწყის, რომ ეს საფრთხე მის ქვეყანამდეც მივიდოდა ერთ დროს. ნახეთ, რა ხდება ახლო აღმოსავლეთსი — ლიბიაში, ერაყში — ყველგან ქაოსია. უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა სადამ ჰუსეინი და კადაფი რომ არ დაემხოთ. სწორედ ერაყის კატასტროფამ შობა ე.წ „ისლამური სახელმწიფო“...

სატელევიზიო ინტერვიუში ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით განაცხადა, რომ აუცილებელია ასადთან თანამშრომლობა და იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის, აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების პოზიციები სასარგებლო და დადებით შედეგად შეჯამდება „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ავია-დარტყმების საკითხში.

გამოცემა „ალ-ახბარის“ ცნობით, რუსეთის ავიაციამ სამი დღის განმავლობაში 60 საავიაციო გაფრენა განახორციელა და განადგურებულია „ისლამური სახელმწიფოს“ 50-მდე ბაზა, რის შემდეგაც პანიკა შეიქნა და ტერორისტები სირიიდან ერაყის ქალაქ მოსულში გადავიდნენ.

მხოლოდ ერთი რამ ვიკითხოთ, რას უნდა ნიშნავდეს ის, რომ იგივე მიზნით ე.წ „ცივილიზებული დასავლეთის“ 7000 საბრძოლო გაფრენიდან, საშუალოდ 0,4 ბოევიკია განადგურებული თითოეულ გაფრენაზე, ხოლო წელიწადში მხოლოდ 15 კმ ტერიტორიაა „გამოტაცებული“? და კიდევ, რატომ ატყდა გარკვეულ წრეებში ცრუ განგაში, არიქა, რუსეთი მშვიდობიან მოსახლეობასაც ბომბავსო? (თითქოს, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები მარსიანელებს ხოცავდნენ, ან თვითონ „ცივილიზებულებს“ არ დაუბომბავთ განურჩევლად მოსახლეობისა, ქორწილები, უწყინარი სოფლები ან სულაც, ორიოდე დღის წინ საავადმყოფო და ბომბავდნენ აბსოლუტურად არაფრის გამო)

ერთიც ვთქვათ — სოციალურ ქსელებში ერთნი ნიშნისმოგებით ამბობენ, აშშ-მა რუსეთი კიდევ ერთ ომში ჩაითრიაო, თუმცა იქვე ფიქსირდება პასუხიც, ჰო, თავის დროზე საქართველოსთან ომშიც ჩაითრიეს რუსეთი, მერე უკრაინასთან ომშიც, ჰოდა დარჩა რუსეთს სოხუმი და ცხინვალი, ყირიმი და დონბასიო... მართლაც, რა უცნაურ ომებში „ითრევენ ხოლმე“ რუსეთს, ისეთში, ახალ-ახალი ტერიტორიები რომ „მიითრიოს“...

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ერთი შეკითხვაა: — პლანეტის უმდიდრესი ქვეყნები: არაბთა გაერთიანებული საემიროები, საუდის არაბეთი ან ქუვეითი, რომლებიც, გარდა იმისა, რომ სირიის მეზობლები არიან გეოგრაფიულად, სხვა მხრივაც ახლობლები და თითქმის ერთნი არიან კულტურული, რელიგიური და ა.შ თვალსაზრისით, რატომ არ იღებენ სირიიდან დევნილ სირიელებს, რატომ უნდა შეიფაროს მაინც და მაინც ევროპამ? ვინ და რატომ, რა მიზნით აიძულებს ევროპას რომ შეიფაროს ადამიანთა ნაკადი, რომელთა ვინაობა იდენფიცირებული არ არის?

იხილეთ ფოტოები, რომლებმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მაგალითად, „ძალიან ჰუმანურების“ პოზიციაა, რა გაძლევთ უფლებას ჟურნალისტებს რომ სიძულვილის ენა გამოიყენოთ, ან რა გაძლევთ იმის ფიქრის საბაბს, რომ ეს ადამიანები თავიანთ ახლობლებს არ იცავდნენ ამ იარაღებითო?

მათ რომ პასუხი გასცეს კაცმა, ჯერ რამდენიმე საგანი უნდა შეასწავლოს, ამიტომ უპასუხოდ დავტოვოთ, მხოლოდ ის განცხადება აღვნიშნოთ ჯერჯერობით, რომელიც გერმანიის კონტრდაზვერვამ გაავრცელა („Rheinishe Post“). მასში ნათქვამია, რომ მიგრანტების სახით ევროპაში რადიკალი ისლამისტები შემოედინებიან. ამ ეტაპზე სპეცსამსახურებმა ვერ აღმოაჩინეს დამამტკიცებელი მასალა, მაგრამ ამას ამტკიცებს ჩინოვნიკების მნიშვნელოვანი ნაწილი და თვით რომის პაპიც. გერმანიის ფედერალური სამსახურის კონსტიტუციის დაცვის უფროსი ჰანს-გეორგ მაასენი აცხადებს, რომ კონტრდაზვერვამ დააფიქსირა აგიტაციის გატარებისა და გადაბირების შემთხვევები. მისი ინფორმაციით, ისლამისტები მოხალისეების და საქველმოქმედო ორგანიზაციების თანამშრომლების იმიჯს ირგებენ და ასე ამყარებენ კავშირს ლტოლვილებთან, რაც ხშირ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლების ყურადღების მიღმა რჩება.

აღნიშნული ფოტოები იმ პირების „ფეისბუქებიდანა“, რომლებზეც გამოსახულები არიან, „უბრალოდ“, მათზე ასახულმა პირებმა „ფეისბუქის“ გასუფთავება მნიშვნელოვნად არ ჩათვალეს...

ამ გახსენებაზე — საბერძნეთმა 4500 ერთეული იარაღი ამოიღო სირიელი ლტოლვილების დასახმარებლად გაგზავნილი ამანათებიდან — ჯერ ის ვთქვათ, რომ ამდაგვარივე მოკლე ჭკუის შედეგია „ფეისბუქში“ დარჩენილი წინამდებარე ფოტოები და შემდეგ ის ვიკითხოთ, გაჭირვებულებს დასახმარებლად იარაღს რომ უგზავნიან, რა ვიგულისხმოთ, ვითომ, იმიტომ უგზავნიან, შუბლში დაიხალეთო?

მოკლედ რომ ვთქვათ, ისე ჩანს, აშშ-მ ტერორისტების სახით „მაგარი“ საჩუქარი გაუკეთა ევროპას...

გიორგი ჩხეიძე

ვახტანგ მაისაია:

აშშ-ის ჰეგემონია მსოფლიოში დასრულდა

ძალაში შედის მეოთხე თაობის ომი... ცივილიზაციათა დაპირისპირება რეალურ კონტურებს იძენს

გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი, დიპლომატი, ბატონი ვახტანგ მაისაია

— ბატონო ვახტანგ, ახლა, როცა ამ ინტერვიუს ვიწერთ, თურქეთში მომხდარი ტერაქტიდან მეორე დღეა. დამერწმუნებით, საშინელი ფაქტი მოხდა.

ამ მართლაც ვანდალურ აქტში კონკრეტულ დამნაშავეებს ჯერ ვერ გამოკვეთენ, მაგრამ როგორია თქვენი შეფასება და ვარაუდები?

— რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სამძიმარს ვუცხადებ თურქ ხალხს. ასზე მეტი თურქეთის მოქალაქე დაიღუპა, 200-მდე დაშავებულია. ასეთი ვერაგული თავდასხმა მშვიდობიან მოსახლეობაზე, კარგა ხანია არ ყოფილა.

ჩემი აზრით, ტერაქტი უკავშირდება რეგიონულ ომს, რომელიც სირიაში მიმდინარეობს. ეს იყო ისლამური ხალიფატის პასუხი თურქეთის ქმედებებზე. უნდა გითხრათ, ძალიან ბევრი ვერსია გაჟღერდა ამ დღეებში თურქეთის ტერაქტთან დაკავშირებით, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე რეალური ხალიფატის შურისძიებაა, მათი ხელი ურევია ამ საქმეში. ესაა შაჰიდური სტილი.

ისლამური ხალიფატი, მას შემდეგ, რაც თურქეთმა და რუსეთმა წამოიწყო ომი მათ წინააღმდეგ, იმ დროს, როცა ისრაელი და აშშ-ი სხვადასხვა კოალიციების სახით ისედაც იყვნენ ჩართულნი ანტიისლამურ კოალიციებში, უფრო გააქტიურდა. ისლამურ ხალიფატს დღეს ტერორისტულ ორგანიზაციას უკვე ვეღარ უწოდებ. ეს არის კვაზისახელმწიფოებრივი გაერთიანება, მათი იდეოლოგია ნაცისტურს, კომუნისტურს ჰგავს, ეს არის, ფაქტობრივად, პოლიტიკური სალაფიზმი.

როგორც ვხედავთ, პირველი დარტყმა თურქეთმა მიიღო, მაგრამ არ არის გამორიცხული, იგივე ტიპის დარტყმები განხორციელდეს რუსეთის და ევროპის მიმართულებითაც.

— მსოფლიო წესრიგში (წესრიგს პირობითად ვამბობ) ქაოსის შეტანა სურთ თუ პასუხია გარკვეულ კითხვებზე?

— ეს არ არის ქაოსის პროვოცირება, ფაქტობრივად, უკვე ომია დაწყებული, ე. წ. მეოთხე თაობის ომი, სადაც მონაწილე მხარეებს არ აქვთ ფრონტალური დაპირისპირებები, როგორც მესამე თაობის ომებში ხდებოდა და რაც საკუთარ თავზეც ვიწვნიეთ 2008 წელს, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ძალაში შედის მეოთხე თაობის ომი, რომ გაანადგურონ მოწინააღმდეგის კულტურა, იდეოლოგია და ამაში გამოიყენონ ასიმეტრიული სამხედრო შეტევები — არაკონტაქტური საბრძოლო ოპერაციები, დივერსიები, ტერაქტები და ა.შ.

— თქვენ ახსენეთ კულტურათა და იდეოლოგიათა განადგურების ტენდენციები ე. წ. მეოთხე თაობის ომების პირობებში. ევროპული და ისლამისტური ცივილიზაციების შეჯახება ხდება?

— ფაქტობრივად, სამი ცივილიზაცია, დასავლეთი, ევრაზიული, ისლამური ცივილიზაცია და ჩინური, ასე ვთქვათ, ერთმანეთის პირისპირ დგანან. ცივილიზაციათა დაპირისპირება რეალურ კონტურებს იძენს.

ჩინური ცივილიზაცია უნდა აღმოჩნდეს დამბალანსებელი ამ ორ დაპირისპირებულ ცივილიზაციებს, — ევრაზიულ და ატლანტიკურ ცივილიზაციათა შორის.

ევროკავშირი და ამერიკა აპირებენ ტრანსატლანტიკური საერთო სავაჭრო კავშირის შექმნას და ეს არ არის უბრალო ამბავი.

რუსეთი და აშშ-ი ნაძალადევად ურთიერთობენ, მაგრამ სანამდე გასტანს ყოველივე ეს, არავინ იცის. ნეოკონსერვატორები თუ მოვიდნენ აშშ-ის ხელისუფლებაში, — მიხეილ საკაშვილის იდეოლოგიური და სულიერი მეგობრები, საქმეს არც ისე კარგი პირი ექნება. მეტიც, თუ ნეოკონსერვატორები მოვლენ, მესამე მსოფლიო ომი დაიწყება. ეს არის ისეთივე გარდაუვალობა, როგორც ორჯერ ორი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ოთხი.

აქვე უნდა აღვნიშნო ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ისლამური ხალიფატის აგრესიული ჯგუფების არსებობის თაობაზე. მათი მხრიდანაც მოსალოდნელია ტერაქტული ტიპის გამოსვლები, იგივე, თუნდაც, რუსეთის ტერიტორიაზე. არაა გამორიცხული ნორდოსტის და ბესლანის ტრაგედიების მსგავსი ტერაქტები მოხდეს.

რუსეთი ვახსენეთ და უნდა ვთქვა ისიც, რომ რუსეთმა შეძლო აშშ-ის დამარცხება სირიაში. აშშ-ის ახლა სურს უკრაინაში გაამწვავოს სიტუაცია, მაგრამ რუსეთმა მოახერხა „გაეყინა“ სიტუაცია დონბასსა და ყირიმში. იგი თანდათან ღებულობს მსოფლიო გლობალური ცენტრის სტატუსს. ეს ჩემი მოსაზრება არ გახლავთ. ამას ბჟეზინსკიც ადასტურებს და სხვა წამყვანი დასავლეთელი პოლიტოლოგებიც. თუმცა ისლამური ხალიფატი არ აპირებს შეეგუოს რომელიმე პოლიტიკური ძალის წინააღმდეგობას.

— საქართველოში თუ აქვთ დასაყრდენი ხალიფატის წარმომადგენლებს?

— აგრესიულმა ისლამისტებმა საქართველოში შექმნეს ე. წ. გურჯისტანის ვილაიეთი, თუმცა, ამჯერად, ღრმა იატაკქვეშეთში იმყოფებიან და ბრძანებას ელოდებიან.

ტერაქტი თურქეთში

რადგან არსებობს ვილაიეთი, ე. ი. არსებობს ოპერატიული მართვის ცენტრიც, საკოორდინაციო ჯგუფები და ა.შ. რომლებიც, როგორც მოგახსენეთ, ჯერჯერობით ღრმა კონსპირაციაში იმყოფებიან გარკვეულ დრომდე.

ჩვენი ყურადღება კი იქითკენ არის მიმართული, თუ როგორ მიმდინარეობს კონსპირაცია ევრაზიულ და ევროატლანტიკურ ძალებს შორის და ვიმყოფებით თუ არა პოლიგონის მდგომარეობაში, რომელზე გავლენის მოპოვებისთვის კვლავ მიმდინარეობს განუწყვეტელი ქიშპი და დაპირისპირებანი.

საქმე ისაა, რომ დღეს საქართველო ახალი ცივი ომის ეპიცენტრშია. ჩვენს ტერიტორიაზე კი ღრმა მიმალვაში არიან კარგად ორგანიზებული ისლამური ხალიფატის ორგანიზაციები, რომლებიც ნიშანს ელოდებიან, რის შედეგადაც, ჩვენს ტერიტორიაზე, არ გამოვრიცხავ ტერაქტების ორგანიზებასაც, რადგან ომი უკვე დაწყებულია და ომის დროს არაფერია გამორიცხული.

ასე რომ, **მეოთხე თაობის ომი დაწყებულია. ის ახლა ლოკალური და რეგიონული დონის დაპირისპირებებზე გადავიდა.** ამ კონფლიქტში ეტაპობრივად ჩაერთო თურქეთი, საფრანგეთი და რუსეთი. საფრანგეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, ანუ ანტიხალიფატური საერთაშორისო ორგანიზაციის და აქ ყველაზე საგულისხმო ფაქტი ის არის, რომ საფრანგეთი მონაწილეობს, როგორც ევროპული გავლენის ცენტრი და არა, როგორც ამერიკული. ეს მნიშვნელოვანი მომენტია. საფრანგეთი კონფლიქტში ჩაერთო აშშ-ის დასაბალანსებლად. თუმცა საფრანგეთმა ცალკე დაიწყო საჰაერო ტიპის დაბომბვები, აშშ-ი ახორციელებს დაბომბვებს ცალკე კონტექსტში, რუსები — ცალკე. გერმანიასაც უნდოდა ჩართვა, მაგრამ გერმანული კონსტიტუცია კრძალავს მსგავსი ტიპის ქმედებებს. ფრანგულ-გერმანული ევროცენტრიზმი გამოჩნდა სწორედ უკრაინის კონფლიქტის „მოყინვის“ პროცესში. მათ აშშ-ის პოლიტიკისგან სრულიად განსხვავებული პოზიციები დაიკავეს. მერკელმაც კი აღიარა, რომ რუსეთი შეიძლებოდა ყოფილიყო პარტნიორი ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში.

ფაქტობრივად, ევროკავშირმა გამოაცხადა, რომ ის არის ახალი გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრი.

შექმნილ სიტუაციაში დამთავრდა აშშ-ის ჰეგემონია მსოფლიოში და ის უნიპოლარული სისტემა, რომელსაც ავითარებდნენ 1993 წლიდან მოყოლებული, დაინგრა. **აშშ-ის ჰეგემონობა მორჩა.**

არ არის გამორიცხული, მომავალ არჩევნებში აშშ-ში ისეთი ძალა მოვიდეს, რომელიც გამოაცხადებს იზოლაციონისტურ პოლიტიკას და **აშშ-ი საერთოდ ამოვარდება მსოფლიო პოლიტიკური მართვის სისტემიდან.**

— გეოპოლიტიკური გავლენის ახალი ცენტრი რუსეთი ხდება?

— არა მხოლოდ რუსეთი, ჩინეთი, ისლამური ხალიფატი, ევროპული გაერთიანებები და აშშ-იც, გარკვეულწილად, ანუ ხუთი ცენტრი ყალიბდება მსოფლიოში.

— ბატონო ვახტანგ, ქართული მხარე აპირებს შემდგომი ურთიერთობები გააღრმავოს „გაზპრომთან“. მოლაპარაკებები გაიმართა აზერბაიჯანშიც.

— ნაცისტურ-პროპაგანდის-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ტული, ნეოკონსერვატორული იდეოლოგიის, ე. წ. ლიბერტარიანული ცენტრები – „რუსთავი-2“ და იდეოლოგიზებული ტელეკომპანია „ტაბულა“ პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებენ, გამოჰყავთ ნეოკონსერვატიული იდეოლოგიის მომხრე, ნაციონალური რეჟიმის გამმართლებელი ზოგიერთი ე. წ. ექსპერტი, რომლებსაც არც აქვთ და არც არასდროს ჰქონიათ სტრატეგიული ხედვა და მხოლოდ ტაქტიკური კუთხით უმზერდნენ მოვლენებს. ამჯერადაც ვერ აანალიზებენ სიტუაციას და მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ.

სინამდვილეში, აზერბაიჯანში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. **ოფიციალურმა ბაქომ გაწყვიტა კავშირი ევროსაბჭოსა და ევროკავშირთან,** არ აქვს სახარბიელო დამოკიდებულება აშშ-სთან და დასავლეთთანაც. თამამად შეიძლება ითქვას, აზერბაიჯანმა დაიწყო პანევრაზიული პოლიტიკის გატარება.

აზერბაიჯანი გახდა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრ. მას სტრატეგიული პარტნიორის სტატუსი მიენიჭა ამ ორგანიზაციაში, შემდგომი სტატუსი მეთვალყურის სახელწოდებას ითვალისწინებს, მერე უკვე შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდება. **შანხაის ორგანიზაცია უკვე გადაიქცა ახალ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსად, რომელიც, როგორც ჩანს, მალე დაუპირისპირდება ნატოს.**

ინდოეთი, პაკისტანი, ჩინეთი, რუსეთი, – ეს ოთხი ბირთვული სახელმწიფო გაერთიანებულია შანხაის ორგანიზაციაში და არის მკვეთრად ანტიდასავლური. აღსანიშნავია რუსულ-ჩინური კოალიცია ამ ორგანიზაციაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. სწორედ აქეთკენ მიიწევს აზერბაიჯანი, რომელსაც უკვე მიეცა სტატუსი ორგანიზაციაში.

აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის არსებობს სტრატეგიული ხელშეკრულება. რუსები აპირებენ სამხედრო ბაზა გახსნან აზერბაიჯანში.

რუსეთი უკვე აწვდის აზერბაიჯანს შეიარაღებას და ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისითაც მჭიდრო კავშირები ჩამოაყალიბეს. შაჰდენიზის პროექტის ფარგლებში მოპოვებულ გაზს რუსეთი ყიდულობს, ბაქოში არსებულ სპეციალურ ქარხანაში ამუშავებს გაზს და სტრატეგიული უსაფრთხოებისთვის იყენებს.

რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთდამოკიდებულება. სტრატეგიული თანამშრომლობა ძალას იკრებს იმის პარალელურად, რომ უარესდება დამოკიდებულება აშშ-ი-აზერბაიჯანსა და ევროკავშირ-აზერბაიჯანს შორის. ისინი, ფაქტობრივად, ცივი ომის დონეზე გადავიდნენ.

ამიტომაც „გაზპრომთან“ მოლაპარაკება ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება. გაზს მოგვაწვდის „სოკარიც“ და „გაზპრომიც“, ამასთან ერთად, მიმდინარეობს ირანის ფაქტორის გააქტიურებაც. მოსალოდნელია, მოიხსნას ეკონომიკური სანქციები, რაც ძალიან კარგი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

რაც შეეხება საკითხის პოლიტიკურ მიმართულებას, „გაზპრომი“ მონოპოლისტია, გაზს იყენებს, როგორც გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტს, გარკვეული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გეოპოლიტიკური მოთამაშის იარაღს.

– რატომ გახდა ახლა საჭირო „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების გამართვა?

– ჩემი აზრით, შეიძლება, ეს თვით „გაზპრომის“ ინიციატივაც ყოფილიყო.

„გაზპრომი“ ბოლო ხანებში ძალიან არის დაინტერესებული ირანული გაზის შესყიდვით, ირანთან შემდგომი ურთიერთობის გაღრმავების თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ირანი უფლებას აძლევს რუსეთს თავის ტერიტორიაზე გაზის საბადოები აითვისოს, ახალი გეოლოგიური სადაზვერვო ოპერაციები განახორციელოს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ირანსა და რუსეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ფაქტს სამხედრო-პოლიტიკურ დონეზეც კი.

ირანში მოპოვებული გაზის გადაქაჩვა საქართველოს გავლით უნდა მოხდეს. როგორც ჩანს, ამით არის დაინტერესებული „გაზპრომი“ და ამიტომაც აწარმოებს მოლაპარაკებებს ჩვენს ხელისუფლებასთან. პოზიტიურად ვუყურებ ამ მოვლენებს, მოხარული ვიქნები „გაზპრომის“ გააქტიურების საქართველოში.

ირანდა კალანდაძე
593 561 118

ტრამპი – ტრამპლინი „ნაციონალებისთვის“

გვესაუბრება მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელი ლევან კოჭლოშვილი



– ლევან, თქვენ და თქვენი ორგანიზაცია ცნობილია იმითაც, რომ იყავით „ნაცმოძრაობის“ უკომპრომისო მოწინააღმდეგეები. ხალხი გამოვა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენ და ქართული საზოგადოება საბოლოოდ შევთანხმდით ხელისუფლების მოცილებაზეო, თქვა „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა და მათმა იდეოლოგმა გიგა ბოკერიამ. რას იტყვით ამაზე?

– საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებ – დიახ, ვარ „ნაცმოძრაობის“, როგორც ამ ქვეყნის მტრების შეურიგებელი მოწინააღმდეგე, ოღონდ არა მათი ამომრჩევლების. „ნაცმოძრაობას“ დღეს საქართველოში საიმედო დასაყრდენი აქვს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის სახით და ახლა სულმოუთქმელად ელოდებიან აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლას, რადგან ის მაკკეინისა და მის თანამოაზრეთა მხარდამჭერი კანდიდატია.

მაკკეინი, ტრამპი და მათი თანამოაზრეები სააკაშვილის მეგობრები არიან. მეგობრობა დღემდე გრძელდება. ოდესის გუბერნატორი სააკაშვილი უკრაინაში შავბნელი გზებით ნაშოვნი ფულით უცხოური ლობისტური კომპანიებისთვის თანხების გადაქაჩვას კვლავაც აგრძელებს და აპირებს ასეთი მეთოდებით საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ნაციონალები საქართველოში პოლიტიკური პროცესების არევდარევას აპირებენ. როგორც ზემოთაც გითხარით, იყენებენ „რუსთავი-2“-ს, ამ ტელეკომპანიის ნამდვილად კეთილსინდისიერ მეპატრონეს – ქიბარ ხალვაშს ლაფს ასხამენ და დაუნდობელ ბრძოლას უცხადებენ.

ამასთან ერთად, „ნაცმოძრაობამ“ „თავისუფალი ზონის“ 10 ახალგაზრდა კალიფორნიაში გაგზავნა სასწავლებლად. მერე, როცა ესენი ჩამოვლენ, ისე, როგორც მიშაზე ამბობდნენ ამერიკული უნივერსიტეტი აქვს დამთავრებულიო და ეს პიარის ნაწილი იყო, ასევე ამ ახალგაზრდებს შემდეგ სხვადასხვა პოლიტიკური მაქინაციებისთვის და „ნაცმოძრაობის“ რებრენდირებისთვის გამოიყენებენ .

– რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანში იმყოფებოდა. საკითხი „სოკარის“ „გაზპრომით“ ჩანაცვლებას ეხება. თქვენი აზრით, რატომ გახდა ეს საკითხი აქტუალური?

– ვფიქრობ, პრემიერმა უალტერნატივო გადაწყვეტილება მიიღო, როცა ამ საკითხზე მოლაპარაკებების წარმოება დააპირა. „გაზპრომი“ 2016 წლიდან ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი გახდება.

ეს სიტყვები ბევრს, შეიძლება, აბსურდად მოეჩვენოს, ამიტომ, აგიხსნით, რატომ ვფიქრობ ასე.

2016 წელი ნატოს წვრთნების დასაწყის წლად ითვლება საქართველოში. წვრთნების მთავარი ამოცანაა, გაარკვიონ, კრიზისული პერიოდის პირობებში ნატოს შეიარაღებული ძალები რამდენ ხანში მოახერხებენ სტრატეგიული მიმართულებებით გადაადგილებას.

მსოფლიოს გავლენიანი ქვეყნების ინტერესები საქართველოზე იკვეთება. 2016 წელს კი ბოლო 10 და მეტი წლის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული არჩევნები გველოდება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის უსაფრთხოების გარანტიები. „გაზპრომი“ – რუსეთის სახელმწიფოს მიერ მართული ამხელა კორპორაცია რომ მოიკიდებს ფეხს საქართველოში, დიდი იმედი მაქვს, რომ აქ იქნება სიმშვიდე.

კარგად ვხედავთ, რა ხდება თურქეთის ტერიტორიაზე. მაშინ, როცა თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ალიანსი, წესდების მიხედვით, თურქეთს გვერდით უნდა ედგეს. ასე არ ხდება, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. მოსალოდნელია, თურქეთმა უარი თქვას ნატოს წევრობაზე, რითაც ეს სამხედრო ბლოკი ჯარისკაცების 80%-ს დაკარგავს.

– გამოდის, რომ „ივერიელები“ მოხარული ხართ, თუ რუსეთი საქართველოში ეკონომიკურ ბერკეტებს გაიძლიერებს?

– ნურავინ იფიქრებს, თითქოს რუსეთუმეები ვიყოთ, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთის ხელშია და ამით ეკონომიკური ფონი საქართველოში არ იცვლება.

რაც შეეხება რუსეთთან ეკონომიკურ კონტაქტებს, ეს ჩვენთვის აუცილებელია. ჩვენი ეკონომიკისთვის რუსული ბაზარი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. **საქართველოში „გაზპრომ“-ის გაძლიერება უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი უსაფრთხოებისთვის, უფრო მეტად, ვიდრე ნატოს წვრთნები და მისი ბაზები ჩვენს ტერიტორიაზე.**

ირანდა კალანდაძე
593 561 118

„დეჟა ვიუ“, „ჟამე ვიუ“, ანუ უკან დატრიალებული დრო

„დეჟა ვიუ-“, როდესაც ადამიანი პირველად აღმოჩნდება რაიმე გარემოებაში (ან გარემოებებში), მას კი ისეთი განცდა აქვს, რომ ეს მომენტი უკვე ოდესღაც იყო მის ცხოვრებაში, ბევრ ადამიანს ჰქონია. მეცნიერების ნაწილი ფიქრობს, რომ ეს არის ადამიანის ტვინში მიმდინარე უცნობი პროცესი, ნაწილი კი თვლის, რომ ჩვენ ამ დროს გავდივართ პარალელურ და პორტალურ სამყაროს.

„დეჟა ვიუ-ს“ სამი ძირითადი ტიპი არსებობს: „დეჟა ვიუ“ – უკვე გამოცდილების ქონა; დეჟა სენტი“ – ის, რაც უკვე გიგრძვნიათ და „დეჟა ვიზიტი“ – განცდა, რომ ამ ადგილზე ნამყოფი ხართ.

შესაბამის ლიტერატურაში ვერსად მოვიძიე ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენად შესაძლებელია სამივე ტიპი ერთდროულად განიცადოს ადამიანმა, თუმცა, საძებარი არც არის – მათ, ვინც 2003 წლის ე.წ „ვარდების რევოლუციას“ მოწიფულ ასაკში და ამასთანავე, გონებანათელი შეხვდა, ამ შემოდგომაზე უკვე ყველას, ერთი მეორის მიყოლებით სახადივით დაემართა ყველანაირი „დეჟა ვიუ“ ერთად და ცალ-ცალკე.

ძნელია, ჯიუტსა და შეუსმენელს გააგებინო რაიმე, მაგრამ ეგებ, მათ მაინც გაიგონ, ვინც თუნდაც მხოლოდ იმიტომაა ფხიზლად, რომ პირადი კეთილდღეობა უმნიშვნელოვანესია მისთვის (როგორც ჩანს, ქვეყანა ყველას ფეხზე ჰკიდია!)...

„დეჟა ვიუ“ დაგემართება ადამიანს, აბა, რა მოგივა, როცა შენ იგივე ხარ, იგივე მოქმედებები მეორდება, რაც წლების წინ უკვე მართლაც გინახავს და იგივე სახეებს ხედავ, ვინც ამ ქმედებებს სჩადიოდნენ. იგივე სახეებს, ოღონდ, გაპეზანებული დედალ-მამლებივით მოსუქებულებს, ძვირადღირებულ სამოსში გაჭედილებს... მართალია, ასაკმომატებულებს, თუმცა ძველებურადვე თავხედებსა და ყველაფერზე წამსვლელებს, ყველაფრის მკადრებლებს...

2001 წლის ოქტომბერი იყო...

წვრილმანების გარდა, არაფერია შეცვლილი, აბსოლუტურად არაფერი! უბრალოდ, „ნაცმოძრაობის“ თავკაცების დღევანდელ ერთობას მაშინ „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ერქვა, თორემ „რუსთავი-2“ მაშინაც მათი ჯიბის ტელევიზია იყო და ახლაც მათია; მაშინაც პროვოკატორი და შუღლის ჩამგდები იყო და ახლაც; მაშინაც დიდი მონდომებით ავრცელებდა სიცრუეს და ახლაც; მაშინაც ისევე არ ანაღვლებდა ვინმესთვის დაუმსახურებელი და უსაფუძვლო შეურაცხყოფის მიყენება და ახლაც; მაშინაც არაფრად დაგიდევდათ თუ ვინმეს (ან ვინმეების) სისხლი დაიღვრებოდა, ოღონდ მათი ერთობა ყოფილიყო ქვეყანაზე გადამჯდარი და ახლაც...

ასეა თუ ისე, მოქმედი პირებიც უცვლელნი არიან, სცენარიც და ავანსცენაც იგივეა, კარგად ნაცნობი, საიდანაც კულმინაციას უნდა დაედოს სათავე – ტელეკომპანია „რუსთავი-2“, ცნობილი მსახიობები და პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, დაბანგული „მასოვკა“.

ხომ არ გადაგვეხედა როგორ დადგა 2003 წლის ნოემბერი, ე. წ „ვარდების რევოლუცია“?

როგორც ვთქვით, მოცემულობა არ შეცვლილა. უპირველესად აღვნიშნოთ ის, რომ აღნიშნული „რევოლუციის“ მოწყობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სათანადოდ არ შეფასდა ის საფრთხე, რაც „ახალგაზრდა რეფორმატორებიდან“ შეიძლებოდა წამოსულიყო.

მნიშვნელოვანი – ხელისუფლების მნიშვნელოვანმა შტოებმა: შსს-მ, პროკურატურამ, უშიშროების სამსახურმა, სასამართლომ და ა.შ არ შეასრულეს თავიანთი პირდაპირი მოვალეობა, წაუყრუეს დანაშაულს, ან სულაც დამალეს მნიშვნელოვანი მასალები „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ დანაშაულებების შესახებ. შევარდნაძის ძირგამომპალი ხელისუფლების ბევრმა ჩინოვნიკმა ამჯობინა აჰყოლოდა სიოს და სამომავლოდ პირადი კეთილდღეობის გამოსაჭედად ხელი შეეწყო ქარიშხლად გადაქცევაში.

2001 წლის 25 ოქტომბერი იყო, როცა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დასამტკიცებლად შევიდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ეკონომიკური უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილის დადგენილება შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ ხელმძღვანელი მუშაკების მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტზე. 29 ოქტომბერს შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყველა შესაბამისი მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ჯგუფის ხელმძღვანელმა მიმართა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს ტელეკომპანიიდან საჭირო დოკუმენტაციის ამოღების თაობაზე. გამოძიებას ნება დაერთო 10 დღის ვადაში ამოეღო ტელეკომპანიიდან მისთვის საჭირო მასალები: სადამფუძნებლო, საბუღალტრო, საბანკო დოკუმენტები, კონტრაქტები, გაშვებული რეკლამების ვიდეოფირები და ა.შ

საგამოძიებო ჯგუფი 30 ოქტომბერს გამოცხადდა ტელეკომპანიაში, მოსამართლის ბრძანება წარუდგინეს „რუსთავი-2-ის“ ხელმძღვანელობას (ნიკოლოზ ტაბატაძე, დავით დვალი, ეროსი კიწმარიშვილი) და მოითხოვეს მითითებული დოკუმენტების გადაცემა. მათ უარი განაცხადეს დოკუმენტების გადაცემაზე. გამოძიების კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობის, ნივთიერი მტკიცებულებების მოსპობისა და დაკარგვის რეალური საშიშროების გამო, საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლით მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჩხრეკის ჩატარებაზე.

არავინ ხურავდა ტელევიზიას, არავინ ებრძოდა თავისუფალ მედიას, არავის დაურბევია „რუსთავი-2“, აბსოლუტურად კანონიერად, მხოლოდ იმაზე იყო საუბარი რაც ვთქვით.

ვისაც გონება მაშინ სრულ წესრიგში ჰქონდა და არც დღეს უჩივის გონების დაბინდვას, აუცილებლად ემახსოვრება, რომ პარლამენტის სხდომაზე ქვეყნის გენერალურ პროკურორს იმ დროს „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ (ყოფილმა „მოქკავშირელებმა“, დღეს „ნაცმოძრაობის“ თავკაცებმა) არ მისცეს საშუალება ხალხს გაეგო რეალურად რაში იყო საქმე;

კიდევ „უკეთესი“, I არხით (ე.წ სახელმწიფო არხით) სცადა გენპროკურორმა დასკვნის ხალხისთვის გაცნობა და დენი „უგონოდ გაითიშა“...

(ის სხვა საკითხია, რატომ და ვინ არ წააკითხა დასკვნა გენპროკურორს, ან რა ეწერა დასკვნაში ასეთი „გადასარევი“ ვიღაცისთვის, კონკრეტულად კი ზურაბ ჟვანისათვის და მიხეილ სააკაშვილისთვის; ან რატომ ეგონა ამ ორ პერსონას, რომ დასკვნაში ისინი იმხილებოდნენ სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებაში, „რუსთავი-2-თან“ დანაშაულებრივ ფინანსურ ალიანსსა და მაქინაციებში, კონტრაბანდის მფარველობაში და ა.შ მთელ რიგ დანაშაულში)

არც დღეს არავინ ხურავს „რუსთავი-2-ს“, კომპანიის მფლობელობაზეა დავა სასამართლოში ორ მხარეს შორის, ესენი კი დამდგარან და უღირსი, მაგრამ ნაცადი ხერხებით უკადრებელს კადრულობენ, როგორც მაშინ, ნელ-ნელა მიცოცავენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევისკენ. რაღა ბევრი ვთქვათ, არხის გენერალურმა დირექტორმა, ნაპროკურორალმა და არაერთი ბინძური, ცილისმწამებლური „დოკუმენტური ფილმის“ შემქმნელმა პირდაპირ განაცხადა, დიახ, ნურავის ექნება იმედი, რომ სასამართლოზე არ მოვახდენთ ზეწოლასო...

ამაზრზენია ეს ყველაფერი, მაგრამ ფაქტია!

ვიღაც, შეიძლება, არხეინადაა, ჰგონია, სახელგატეხილი და პირსისხლიანი პოლიტ-კრიმინალური დაჯგუფება მხოლოდ ფაფხურობს, რეალურად უძლურია. არა, ბატონებო, ეს ის კრებულია, რომელსაც სათავეში „ძალიანზე მეტად“ გამოცდილი პროვოკატორები და შემსრულებლები უდგანან, რომელთათვისაც არაფერს ნიშნავს „ორი გვამი“; არ აქვს მნიშვნელობა სადმე იქნება „შემოდებული“ ორი (ან რამდენიმე) გვამი თუ რომელიმე ბინაში „მიტანილი“... არც „ერთი ცნობადი გვამი“... არც მზის გულსა თუ თქეშ წვიმაში დაყრილი გვამები...

ყველაფერთან ერთად არის ის ავთვისებიანი სიმსივნეც, რასაც „საია“ ჰქვია და მეტასტაზებად არის გაშლილი სხვადასხვა სახელქვეშ შეფარებული ნაბარტყით, „საია“, რომელიც იმ შავბნელ დროში დიდს ვერაფერს აფუჭებდა, ახლა კი ყველაფერში ცხვირს ჩრიან, ენატანიობენ, შანტაჟიორობენ – ამიტომაც შეარქვეს, „ინტელექტუალი მკვლელები, „ნაცებზე უარესები“...

„პროვოკატორები წარსულიდან“ ცდილობენ დღეს მოასწრონ, რადგან კარგად იციან, „ხვალ“ გვიანი იქნება, მაგრამ რაც მათ ესმით, ესმის კი მათ, ვისაც უნდა ესმოდეს?!

„ჟამე ვიუ“ „დეჟა ვიუ-ს“ საწინააღმდეგო გრძნობაა, როცა ნაცნობ გარემოებასა და სიტუაციაში, ნაცნობი ადამიანების წრეშია ადამიანი და იგი მოქმედებს ისე, როგორც პირველად რომ ხედავს ამ ყველაფერს ცხოვრებაში; როცა ნათქვამი ან დაწერილი სიტყვები უცნობი მნიშვნელობის მქონედ და გაუგებრად ეჩვენება.

სტატისტიკის მიხედვით, „ჟამე ვიუ“ ადამიანების 60%-ს ერთხელ მაინც აქვს განცდილი სიცოცხლის მანძილზე.

ნუთუ, მთელი ის 60% პროცენტი სწორედ საქართველოშია და არა ერთხელ, მუდმივად განიცდის „ჟამე ვიუ-ს“? რატომ ვერ ცნობენ მათ, ვისაც ძალიან კარგად იცნობენ რანიც ბრძანდებიან, ვერც გაფრთხილების შეძახილს აღიქვამენ და ვერც წერილობით მირთმეულს?

P.S. „ობიექტივის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მირიან ყარაულაშვილი საქართველოს პარლამენტს მიმართავს:

„საქართველოს პარლამენტს!

კანონებისა და თქვენივე სამუშაო რეგლამენტის სრული დაცვით სასწრაფოდ მოამზადეთ შესაბამისი დოკუმენტაცია, დაკანონეთ და სასწრაფოდ უზრუნველჰყავით იმ ცნობილი „კასრების ჩანაწერების“ სრული,100%-იანი გასაჯაროვება და დაამთავრეთ ეს ტინგიცობა!!! თუ არა და, თქვენ (ჩვენთან ერთად!) დაამთავრებთ ძალიან ცუდად – რევანშიზმის ცხოველური სურვილით შეპყრობილები არ დაინდობენ არავის!!!!“

თამარ კიკნაძე:

ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ საქართველომ „გაზპრომთან“ უფრო აქტიურად ითანამშრომლოს

მსოფლიო პოლიტიკოსებს იმედი აქვთ, რომ სირიის ომში რუსეთი გადამწყვეტ სიტყვას იტყვის

ვესაუბრებით პროფესორ **თამარ კიკნაძეს**.

— გაეროს სამოცდამეათე სიუბილეო სესია მართლაც საინტერესო გამოდგა, მას უპრეცედენტოდ ბევრი სახელმწიფოს ლიდერი დაესწრო, მათ შორის ჩვენი პრემიერ-მინისტრიც.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მსოფლიო ლიდერთა მხრიდან პუტინის გამოსვლას, რადგანაც დარბაზი მთლიანად გაივსო, უკრაინის დელეგაციის დემარში, რომელიც მათ გამოხატეს პროტესტის ნიშნად დარბაზის დატოვებით, თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. ეს დიდი ინტერესი იმითაც იყო გამოწვეული, რომ პრაქტიკულად სამყარო მესამე მსოფლიო ომშია ჩართული. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სირიის ომი შეცვლის სამყაროში ძალთა გადანაწილებას და დღევანდელი სიტუაცია წარმოადგენს ე. წ. „ჰიბრიდულ ომს“ მესამე მსოფლიო ომის სახით.

ცხადია, ასამბლეას ესწრებოდა ჩინეთის დელეგაციაც. საინტერესო იყო მათი ლიდერის პოზიციაც, ისე, როგორც ბელორუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს გამოსვლა, ჩვენი პრემიერის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა და ა.შ.

რა თქმა უნდა, პუტინის გამოსვლა ძალიან საინტერესო იყო და, რაც მთავარია, ის ქმედებები, რასაც ახლა რუსეთი ახორციელებს ისლამური რესპუბლიკის მიმართ და ანადგურებს მათ სამხედრო ბაზებს, ჩვენი ქვეყნისთვის გახლავთ მომგებიანი, რადგანაც სირია ჩვენგან შორს არ არის, მანამდე შექმნილმა კოალიციამ ვერაფერი ვერ გააკეთა. პირიქით, ისლამურმა რესპუბლიკამ უფრო გააძლიერა და გააფართოვა ქმედებების არეალი. საერთოდ, ახლო აღმოსავლეთში წარმოებული პოლიტიკა ძალიან ცუდად შემოუბრუნდა დასავლეთს და, კერძოდ, ევროპას, რადგანაც ლტოლვილების სახით მიიღეს მათ სრულიად განსხვავებული მენტალიტეტის და ტრადიციების მქონე ხალხი, რომელნიც ევროპულ გარემოს და მათი ცხოვრების წესს ვერასოდეს ვერ შეეგუებიან. საინფორმაციო წყაროები იმასაც იუწყებიან, რომ მათ შორის ძალიან ბევრი შეიძლება იყოს ტერორისტი. ასე რომ, ევროპა არის დღეს სერიოზული გამოწვევების წინაშე.

ისეთი ქვეყნები, როგორიც არის სირია, იყო ლიბია და სხვა, გარკვეულწილად კორდონს წარმოადგენდნენ ევროპისთვის და თითქოს აკავებდნენ ამ ტერორისტულ დაჯგუფებებს. ეს სახელმწიფოები რომც არ არსებულიყო, უნდა შეექმნათ, მაგრამ პირიქით, გააკეთეს, ლიბიის მეთაური სასტიკად აწამეს და მოკლეს, ერაყი გაანადგურეს და ახლა სირიაა კატასტროფის წინაშე. კადაფი შეიძლება იყო დიქტატორი, მაგრამ მისი სახელმწიფო დღეს საერთოდ არ არსებობს. **დასავლეთის არასასურველი ქმედებების გამო მთელი მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო ჩავარდა უმძიმეს მდგომარეობაში**. მათ მთელი საუკუნეების მონაპოვარი, კულტურული ძეგლები, ქალაქები გაანადგურეს, მუზეუმებიდან ისლამისტებს გააქვთ უნიკალური ნივთები და მსოფლიოს შავი ბაზარი გაავსეს ამ საქონლით. რაც არ გადააადგილდება და დიდია, იმას ანადგურებენ. ისინი გამოირჩევიან უდიდესი სისასტიკით. ასევე შუამავლების საშუალებით ყიდიან ნავთობს, ნახულობენ დიდ მოგებას და აქვთ მონათა ბაზარი, სადაც ტყვეადყვანილ მოსახლეობას ყიდიან. მოკლედ რომ ვთქვათ, ფუტურ-არქაისტულ ქმედებებთან გვაქვს საქმე. ეს არის დიდი სიბოროტე.

სწორედ ამ ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო რუსეთი სერიოზული კონტინგენტით და დღევანდელ მსოფლიო დონის პოლიტიკოსებს იმედი აქვთ, რომ ის ამ ბრძოლაში გადამწყვეტ სიტყვას იტყვის — როგორც ეს პუტინმა აღნიშნა. ამიტომაც იყო მისი მოხსენება ყველასთვის ასე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები. **ერაყში შეიქმნა საინფორმაციო საკოორდინაციო ცენტრი ოთხი ქვეყნის წარმომადგენლების მიერ, რომელშიც შედიან სირია, რუსეთი, ერაყი და ირანი. ბოლო დღეებში უკვე შეეტყო ბრძოლებს რუსეთის ძალა, სამხედრო ქმედებებს ისინი კოორდინირებულად ახორციელებენ,** თუმცა, დასავლეთი ამას ვერ ხედავს და ზოგჯერ ძალიან ნეგატიურ შეფასებებსაც აძლევენ ყოველივეს.

სირიისთვის რუსეთის მხარდაჭერამ ხალხში გამოიწვია დიდი აღფრთოვანება, გაიზარდა მოხალისეების რიცხვი არმიაში, რადგანაც რუსეთის დაბომბვითმა ოპერაციებმა მათ იმედი გაუჩინა.

— ფაქტობრივად, დღეს დასავლეთი უყურებს რუსეთს, რათა მათ მიერ გაჩაღებული ომი როგორმე გააჩეროს ამ ქვეყნის ძლიერმა სამხედრო შეიარაღებამ. თუმცა ისინი არ აღიარებენ იმას, რომ უდიდესი შეცდომა იყო აღმოსავლეთის ქვეყნების ასეთი მიზნობრივი განადგურება, რომელმაც მათ არავითარი მოგება არ მისცა გარდა იმისა, რომ მთელი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გაქცეული ლტოლვილები შეესია ევროპას და ამ ქმედებების დასასრული არც თუ ისე უმტკივნეულოდ ჩაივლის...

— ცხადია, მათი ქმედებები იყო არაკანონზომიერი, არ იყვნენ შედეგზე ორიენტირებულნი. ამიტომაც მოხდა ის, რაც მივიღეთ. რაც შეეხება საქართველოს, ამ ახალ გადაწყვეტილებას, რომელიც რუსეთთან კავშირით „ისლამური რესპუბლიკის“ განადგურებას ისახავს მიზნად, ჩვენთვისაც მომგებიანია, რადგან კარგად ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ახალგაზრდები პანკისიდან თუ აჭარიდან წარმატებით იბრძვიან ამ ომში და მათი მხრიდან ჩვენს მიმართ არაერთხელ ყოფილა მუქარები — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს საფრთხეს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკოსთა პოზიცია ამ საკითხის მიმართ ნეგატიურია, როგორც საინფორმაციო საშუალებებიდან ვგებულობთ. ისიც მინდა ვთქვა, რომ დამოუკიდებლობის მერე ჩვენმა ელიტამ მოახერხა ის, რომ დღეს ამ დღეში ვართ. ერთ მხარეს არის რუსეთის სამხედრო ბაზები, მეორე მხარეს კი ნატოს საწვრთნელი ცენტრები და **თუ დაპირისპირება მოხდა ამ ორ სამხედრო მხარეს შორის, ჩვენ შუაგულში აღმოვჩნდებით. აი, ეს გახლავთ უჭკუო პოლიტიკის შედეგი!**

ამასწინათ თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა გააკეთა შეუფერებელი განცხადება იმაზე, რომ ქართველი ხალხი იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდეო. მიმაჩნია, რომ ეს არ გახლავთ ქართველი მოსახლეობის აზრი, ხალხს უნდა სიმშვიდეში ცხოვრება და ეკონომიკური წინსვლა, ისედაც ბევრი გაჭირვებაა ამ ქვეყანაზე.



ნატოს, როგორც სამხედრო ალიანსის ქმედებები, ყოველთვის არ შეიძლება იყოს დადებითად შეფასებული, ისევე, როგორც ამერიკის პოლიტიკური ნაბიჯები. მათ ხშირად აკრიტიკებენ მსოფლიო დონის ისეთი პოლიტიკოსები, როგორიცაა, **მაგალითად, ჰენრი კისინჯერი. ის ამბობს, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეპყრონ თავის გადაწყვეტილებებს მოქმედი პოლიტიკოსები, რათა შედეგი მთელი მსოფლიოსათვის სავალალო არ აღმოჩნდესო**. ფაქტია, რომ ასეთი შედეგი უკვე მივიღეთ სირიის ომის სახით.

— 2008 წლიოს აგვისტოს ომს და მის გამოძიებას მიუბრუნდა ჰაგის სასამართლიო. ამდენი ხნის შემდეგ რა აზრი აქვს ამ საქმის გამოძიებას?

— ეს რაღაცა ზეწოლის ბერკეტია. ჩვენთან არ ამბობენ, თორემ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გადმოსცეს, რომ ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი შეიძლება დაისაჯოს თავისი ქმედებებისთვისო. ვფიქრობ, ესეც პოლიტიკური ვაჭრობის თემად იქცევა ამ შემთხვევაში და მეტი არაფერი. **გააჩნია, ახლო მომავალში როგორი პოლიტიკური კონიუნქტურა იქნება, შედეგებიც ამის მიხედვით დადგება, ან რუსეთის საწინააღმდეგოდ, ან სააკაშვილის საწინააღმდეგოდ მოხდება ყველაფრის გადაწყვეტა.**

— ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებას რუსეთის „გაზპრომთან“ ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, „ნაციონალური მოძრაობისა“ და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სერიოზული ისტერიკა მოჰყვა. ეს არ იყო უარყოფითი შეფასება, ეს იყო აგრესიული ისტერიკა. რა არის ამისი მიზეზი?

— მათი შეფასებები ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად არაკვალიფიციურია იმიტომ, რომ დივერსიფიცირებული გაზის მოწოდება ყოველთვის კარგია ქვეყნისათვის და, გარდა ამისა, **მე ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ მივიღოთ „გაზპრომის“ გაზი, რადგანაც ეს კავშირი დღეს არ დაწყებულა, წლებია ვღებულობთ ამ გაზს. ლაპარაკია მოცულობის გაზრდაზე.** მით უმეტეს, მიდის მუშაობა იმ მიმართულებითაც, რომ ქვეყანაში შემოვიდეს ირანის გაზიც და საქართველო გახდეს ტრანზიტული ქვეყანა ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ისე, რომ ირანის გაზი მოხვდეს ჩვენგან თურქეთში და თურქეთის გავლით — ევროპაში. ასეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებს ხელშეწყობა სჭირდება. გარდა ამისა, „გაზპრომის“ მოწინააღმდეგეებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ მთელი ევროპა რუსეთიდან ღებულობს გაზს და ამაში ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავენ. მათთან ეკონომიკური კავშირი სულაც არ ასუსტებს ევროპას. ამდენად, თუ „გაზპრომი“ გაზის მოწოდების მოცულობას გაზრდის სომხეთისათვის და ეს გაზი ჩვენს ტერიტორიაზე გაივლის, ეს ქვეყნისათვის მომგებიანი იქნება და მეტი არაფერი. აქ საკამათო არაფერია.

ეთერ კასრელიშვილი
599 110 200

გურამ ლაკია: არ შეიძლება შეიარაღებული ბანდფორმირებების წევრებს, რომლებმაც კანონიერი ხელისუფლების დამხობაში მიიღეს მონაწილეობა, ვეტერანის სტატუსი მივცეთ. ეს იგივეა, ვეტერანის წოდება კრიმინალებს და მკვლელებს მივანიჭოთ!

მე მხოლოდ სიკვდილი გამაჩერებს და ის დღეები, რაც დამრჩა, საქართველოს სამსახურისთვის უნდა გამოვიყენო – 1994 წელს გარდაცვლილად გამოცხადებული ვეტერანი გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება.

ეროვნული გვარდიის მთავარი და გაერთიანებული შტაბის უფროსი და ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანი ხელისუფლებას ვეტერანთა გაერთიანებების საქმეების გადახედვას თხოვს. დაუშვებელია, რომ კანონიერი ხელისუფლების დამხობაში მონაწილე და უკანონო ბანდფორმირებებში გაერთიანებული ადამიანები შეიარაღებული ძალების ვეტერანების სტატუსით და სარგებლობდნენ, ამ სტატუსის მატარებლებისთვის განკუთვნილი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და ჩვენი გადასახადებით შევსებული ბიუჯეტიდან სოლიდურ პენსიებს იღებდნენ – აცხადებს გურამ ლაკია.

ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის დირექტორის ირაკლი შიხიაშვილისთვის გაგზავნილ განცხადებაში წერია: „საქართველოს ძალოვანი უწყებების ვეტერანთა გაერთიანებები რიგ შემთხვევებში შექმნილია ქვეყნის კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის უგულვებელყოფით. ეს აკნინებს ამ კავშირების მნიშვნელობას და პროპაგანდას უწევს კანონის არჩევითობის პრინციპის დამკვიდრებას, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. მაგალითად, ე.წ. ეროვნული გვარდია, რომელიც თენგიზ კიტოვანმა კანონის სრული იგნორირებით შექმნა და რომელმაც კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივ დამხობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, წარმოადგენდა ბანდფორმირებას, ვინაიდან მიეტმასნა 1990 წლის 20 დეკემბრის კანონის საფუძველზე შექმნილ შინაგან ჯარებს – ეროვნულ გვარდიას, რაც სამართლებრივი აბსურდია. შინაგანი ჯარები – ეროვნული გვარდია შეიქმნა 1990 წლის 20 დეკემბერს მიღებული კანონით და წარმოადგენდა შს სამინისტროს საშტატო ერთეულს. მისი სტატუსი იყო შინაგანი ჯარი, ხოლო სახელად ერქვა ეროვნული გვარდია. მისი სარდალი კიტოვანი თანამდებობრივად წარმოადგენდა შს მინისტრის პირველ მოადგილეს. 1991 წლის 19-23 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, განხორციელებული იქნა შსს-ში რეორგანიზაცია. შინაგანი ჯარის-ეროვნული გვარდიის ბაზაზე ჩამოყალიბდა პოლიციის განსაკუთრებული პოლკი და გაუქმდა სარდლის თანამდებობა. აქედან გამომდინარე, შინაგანმა ჯარებმა-ეროვნულმა გვარიამ შეწყვიტა თავისი არსებობა და კიტოვანი გათავისუფლებულდა სარდლის თანამდებობიდან. (იხ. უზენაესი საბჭოს უწყებანი №8-91წ. და პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილება) 1991 წლის 26 აგვისტოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, სააფუძველი ჩაეყარა ეროვნული გვარდიის სამხედრო უწყების ჩამოყალიბებას, რომელიც შეყვანილი იქნა ქვეყნის თავდაცვის დეპარტამენტში. დეპარტამენტს სათავეში ჩაუდგა საქართველოს პრეზიდენტი – როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი. (იხ. უზენაესი საბჭოს უწყებანი №8-91წ.) 1991 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, დაინიშნენ ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს თანამდებობის პირები. მე დავინიშნე ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსად – მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ (იხ. უზენაესი საბჭოს უწყებანი №10-91 წ.)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კანონიერად უნდა იქნას ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაზე დაფუძნებული საქართველოს ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები და არა უკანონო ბანდფორმირება, რომელმაც ჩაიდინა სახელმწიფო ღალატი თ. კიტოვანის მეთაურობით.

არ შეიძლება კანონიერად ჩაითვალის „მხედრიონის“ შეიარაღებული ფორმირებები, ვინაიდან, მათ არავითარი კანონიერი სტატუსი არ გააჩნდათ და ამავე დროს, მონაწილეობდნენ კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობაში. მათი გავეტერანება იგივეა, რომ ვეტერანის სტატუსი მიენიჭოს კრიმინალებს და მკვლელებს. ისინი, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია და საქართველოს ტერიტორტიული მთლიანობისთვის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში იბრძოდნენ, უნდა განიხილებოდნენ, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების ვეტერანებად და არა დანაშაულებრივი დაჯგუფებების ვეტერანებად. 1991 წლის-1993 წლის მოვლენები სამართლებრივად უნდა იყოს გამოძიებული და ამ მოვლენების ორგანიზატორები, რომლებმაც კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა და საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია განახორციელეს, გამოიწვიეს ქვეყანაში შეიარაღებული დაპირისპირება, ტერიტორიების დაკარგვა, ასობით ათასი ოჯახის გაუბედურება და ლტოლვილად ქცევა, უნდა დაისაჯონ! დაუსჯელი დანაშაული განმეორებადია!

მე, როგორც ეროვნული გვარდიის მთავარი და გაერთიანებული შტაბის უფროსი (კანონიერი პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე) მზად ვარ ვითანამშრომლო ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებთან ჭეშმარიტების დასადგენად და ჩვენს ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში.

მას შემდეგ, რაც შიხიაშვილის უწყებაში გაგზავნილ განცხადებაზე პასუხი ვერ მიიღო, ვეტერანმა დახმარებისთვის საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქრივისტთა კავშირს მიმართა. „საუდაკელების“ მიერ საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, იუსტიციის მინისტრთან, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში და ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურში გადაგზავნილ წერილებზე პასუხი ჯერჯერობით, მხოლოდ წულუკიანისა და შიხიაშვილის უწყებებიდან მოვიდა. როგორც ერთი, ისე მეორე უწყება მწუხარებას გამოთქვამს, რომ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მოკლებულია მოთხოვნაზე სამართლებრივი რეაგირების საშუალებას.

სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული არც თუ დამაიმედებელი პასუხების მიუხედავად, ეროვნული გვარდიის მთავარი და გაერთიანებული შტაბის უფროსი დანებებას არ აპირებს. ჩვენი სტუმრობისას, გურამ ლაკია გულზე ოპერაციის გასაკეთებლად მოსკოვში მიემგზავრებოდა. მასთან საუბარში გავიგეთ, რომ შევარდნაძის ხელისუფლებამ 1994 წლის 15 მარტს გარდაცვლილად გამოაცხადა, რის დამადასტურებელ დოკუმენტს დღემდე პირად საქმეში ინახავს.

სანამ საუბრის მთავარ თემაზე გადავიდოდე, გეტყვით, რომ 1993 წლის 6 ნოემბერს კანონიერი ხელისუფლების თანამდებობის პირები იძულებული გავხდით აქტიური საბრძოლო მოქმედებები შეგვეწყვიტა, ვინაიდან საქართველოში შევარდნაძის მოწვევით, გადმოსხმული იქნა რუსეთის და უკრაინის შეიარაღებული ძალების საექსპედიციო-საზღვაო დესანტი.ავღანეთის შემდეგ, რუსები მოქმედებდნენ პრინციპით – დასახლებულ პუნქტში მაშინ უნდა შეხვიდე, როცა მიწასთან გასწორებ – ცოცხალი გაიქცევა და მკვდარი არ ისვრის. აქედან გამომდინარე, ქალაქი ფოთი და მისი მშვიდობიანი მოსახლეობა რომ არ დაზარალებულიყო, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ქალაქი დავტოვეთ. რვა წლის განმავლობაში, ოჯახით ემიგრაციაში ვიყავი. ამ დროისთვის, (1990 წლიდან) საბჭოთა არმიის რიგებიდან დანიშნული მქონდა პენსია 275 მანეთის ოდენობით. ბუნებრივია, შევარდნაძის დევნის პირობებში, პენსიის ასაღებად თბილისში ვერ ჩამოვიდოდი, ამიტომ ჩემს პენსიას ვიღაც, სავარაუდოდ, გაყალბებული ხელისმოწერით იღებდა. ვიღაცამ, ვინც დარწმუნებული იყო,რომ თბილისში ჩამოვლას ვერ შევძლებდი, შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგან გამოძიება არ ჩატარებულა და რამის მტკიცება არ შემიძლია, თუმცა ჩემს პირად საქმეში მითითებულია, პენსია აღებულია 1993 წლის აგვისტოში, როცა მე თბილისში არ ვიმყოფებოდი. მოგვიანებით, ალბათ ეს ამბავი რომ არ გამჟღავნებულიყო, ვაკე საბურთალოს რაიონის კომისარმა, ფინანსთა განყოფილების უფროსთან ერთად შექმნა დოკუმენტი, რომლის თანახმად, 1994 წლის 15 მარტს გარდავიცვალე. ეს დოკუმენტი დღესაც ჩემს საპენსიო პირად საქმეში დევს. 2001 წელს თბილისში რომ ჩამოვედი და თავდაცვის სამინისტროს არქივში ჩემი საბუთები მოვიძიე, გავარკვიე, რომ გარდაცვლილი ვარ და ძალიან გაოცებული დავრჩი, თუმცა გაოცება წინ მელოდა, როცა ვნახე, რომ უკანონო, შეიარაღებული ბანდფორმირებების წევრები სახელმწიფო პრივილეგიებით სარგებლობენ და სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოლიდური პენსიები აქვთ დანიშნული.

ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანისთვის, რომელიც დღემდე სხეულით ატარებს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დაცვისთვის მიღებულ ტყვიას, პრინციპულად მიუღებელია კანონიერი ხელისუფლების დამხობაში მონაწილე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრებისთვის, შეიარაღებული ძალების ვეტერანის სტატუსის მინიჭება და ხალხის მიერ შევსებული ბიუჯეტიდან მათთვის სოლიდური პენსიების დანიშვნა.

რა თქმა უნდა, პრეზიდენტი გამსახურდია პიროვნულად მესიმპათიურებოდა, მაგრამ როგორც თანამდებობის პირი, ჯერ კანონსა და საქართველოს ვემსახურებოდი და მერე მის კანონიერ ხელისუფლებას. რადგან დაინტერესდით, გეტყვით, რომ **AKC** ტყვია, რომელიც მარჯვენა ფილტვში მაქვს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში კი არა, სამხედრო გადატრიალების დროს

მივილე. 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიას ქალაქიდან გასვლის დროს, მეტეხის ხიდზე რომ ავტობუსები ჩაცხრილეს, იქ ვიყავი. გონს რომ მოვედი, ვერაფერს ვხედავდი, ვინაიდან თვალები სისხლით მქონდა სავსე. გავიგე, როგორ თქვა ვიღაცამ ეს ჩაძაღლებულაო, ქურქი გამხადა და წავიდა. ტყავის პიჯაკი,რომელიც ქურქის შიგნით მეცვა, ტყვიისგან ისეთი დაფლეთილი იყო, რომ დამიტოვეს. როგორც იმ პროცესების უშუალო მონაწილე, თვალს ვერ დავხუჭავ, როცა კანონიერი ხელისუფლების დამხობისთვის შექმნილი კრიმინალური ბანდების წევრები, რომლებმაც ქვეყანაში სისხლის კალო დაატრიალეს, დღეს გენერლის სამხრეებითა და მაღალი ჩინებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მაღალ ანაზღაურებებს და სოლიდურ პენსიებს იღებენ. ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია, როცა მოსახლეობის სრული უმრავლესობის მიერ არჩეული, კანონიერი პრეზიდენტის 1991 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით შექმნილი ეროვნული გვარდიის მებრძოლები სახელმწიფოს მიერ უგულვებელყოფილი არიან და კიტოვანის მეომრები, „მხედრიონის“ და სხვადასხვა მტაცებელი მხეცებისა და ფრინველების სახელის მატარებელი ბანდფორმირებების წევრები ყველა სახის დახმარებით და პრივილეგიებით სარგებლობენ. უკვე ასობით ადამიანს მიანიჭეს ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანის სტატუსი და დაუნიშნეს სოლიდური პენსიები, ამიტომ მაინტერესებს, რა კრიტერიუმებით სარგებლობს კომისია, რომელიც ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანის სტატუსს ანიჭებს და ყოფილი „მხედრიონელი“ შიხიაშვილი ხელმძღვანელობს? რატომ წყდება ეს საკითხები მხედრიონელების უპირატესობით, რა დამსახურება აქვთ ამ ადამიანებს ერისა და ქვეყნის წინაშე? ვინ და რა უფლებამოსილებით მიანიჭა გენერლობა გელა ლანჩავას, რომელიც თბილისში მანიფესტაციებს ხვრეტდა და ვინ წყვეტს ამ საკითხებს, დოდო გუგეშაშვილი? წინააღმდეგი არ ვარ, რომ იმ ადამიანებს, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია და ომში იბრძოდა, სტატუსი მიენიჭოს, მაგრამ მიენიჭოა არა როგორც „მხედრიონელს“, არამედ, როგორც აფხაზეთის ომის მონაწილეს, ვინაიდან, ეს სტრუქტურა დანაშაულებრივია და არავითარი კანონიერი საფუძველი არა აქვს. შეიარაღებული ძალების ვეტერანის სტატუსი არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომელმაც



მოკლა, იყაჩაღა, გააუპატიურა და ა.შ. სწორედ ამიტომ ვთხოვ იუსტიციის მინისტრს დანიშნოს კომისია და გაარკვიოს, ვინ იღებს ჩვენი ფულით შევსებული ბიუჯეტიდან სოლიდურ პენსიებს. არიან თუ არა, ამ ადამიანებს შორის დამნაშავეები, ვინც ქვეყანა დააქცია, ადამიანები ხოცა, აუპატიურა, იყაჩაღა.. 1991 წლის 23 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროში რეორგანიზაცია ჩატარდა, რომლის შედეგად, გაუქმდა შინაგანი ჯარი და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლკი. აქედან გამომდინარე, გაუქმდა სარდლის თანამდებობა და მოიხსნა თანამდებობიდან კიტოვანი. მაშინ საიდან აღმოცენდა კიტოვანის გვარდია და რა საფუძველი აქვს მის მებრძოლებს, რომ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები იყვნენ? პირველივე, რაც შევარდნაძემ ჩამოსვლისას განაცხადა იყო, მივესალმები საქართველოს ინტელიგენციას, რომელმაც საჭირო დროს ხელში ხელში იარაღი აიღოო. შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა მშვენივრად იცოდა, რომ ნებისმიერი, ვინც ხელში აიღებს იარაღს, რომლის აღების უფლება კანონით არ არის მინიჭებული, სისხლის სამართლის დამნაშავეა და ამ ხალხს მიანიშნა არაფერი შეგეშალოთ, თორემ მე მშვენივრად ვიცი ვინც ხართო.

კითხვაზე, რას ნიშნავს შიხიაშვილისთვის გაგზავნილ წერილში ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის შესახებ გაკეთებული ჩანაწერი, გურამ ლაკია განმარტავს, რომ ადამიანს, რომელმაც სამხედრო ძალებში 27 წელი იმსახურა, ბევრი თვითმკვლელობა უნახავს, ამიტომ შეუსაბამობათა მთელი რიგის გათვალისწინებით, პრეზიდენტის თვითმკვლელობის არ სჯერა. ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანს არც იმის სჯერა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიკვდილის გარემოებები ოდესმე გაირკვევა.

27 წელი ვიმსახურე არმიაში და სამწუხაროდ, ბევრი თვითმკვლელი მინახავს, ამიტომ ვფიქრობ, რომ ზვიად გამსახურდია მოკლულია. არ შეიძლება ადამიანმა თავში ისროლოს და შემდეგ იარაღი მუცელზე დაიდოს. თავში გასროლის შემდეგ, ადამიანი უცებ წყდება და ხელს ვერ აკონტროლებს.. ამიტომ, რამემ თუ არ შეაჩერა, იარაღი 5-დან 8 მეტრამდე იქნება სხეულიდან მოცილებული. ბატონი გუგუშვილი ამბობს, რომ პრეზიდენტი პირიდან სისხლს აღებინებდა. ჯერ ერთი, მიცვალებული ვერ აღებინებს, თანაც თავში გასროლის დროს, სიკვდილი მყისიერად დგება. შესაბამისად, სისხლი ფილტვებში ან მუცელში დაგროვებას ვერ მოასწრებდა, რომ უკან ამოსულიყო. გასათვალისწინებელია, რომ „სტეჩკინი“ მოზრდილი იარაღია. იმ კუთხით დაჭერის შემთხვევაში, საჩვენებელი თითის ჩახმახისთვის გამოკვრა გაჭირდებოდა. რატომ გაუჭირვებდა თავს კაცი, რომელმაც თავის მოკვლა გადაწყვიტა, როცა შეიძლებოდა იარაღის ლულა პირში ჩაედო ან ნიკაპის ქვემოდან მიედო? საფეთქელში კიდეც რომ ესროლა, ტყვიის ტრაექტორია ქვევიდან ზევით უნდა ყოფილიყო, აქ კი პირიქით, ზევიდან ქვევითაა. ამ და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი მოკლულია, მაგრამ თუკი მავანთა ინტერესებში ჟვანიას სიკვდილის გარემოებათა გამოძიება არ შედის, ზვიად გამსახურდიას სიკვდილს მით უმეტეს, არ გამოიძიებენ. არჩევნებამდე, პიარისათვის დააბოლებენ ხალხს და ამით დამთავრდება.. მე ვლაპარაკობ ხელისუფლებაზე, როგორც ერთიან გუნდზე და არა ხელისუფლებაში არსებულ ცალკეულ პიროვნებებზე. შეიძლება ვიღაც, ცალკე აღებულ პიროვნებას აწყობდეს ამ საქმის გამოძიება,მაგრამ ასეთს ხელისუფლებაში ყოფნის დიდი დღე არ უწერია.

ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან ჩემი მიზანი იყო, რომ კანონზე დაფუძნებული, სამართლიანი სახელმწიფო აგვეშენებინა. არ შეიძლება ქვეყნის მმართველი იყო და არ გეხებოდეს ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება. სახელმწიფო ორგანოს, რომელიც დაკავებულია ვეტერანთა სტატუსების მინიჭებით და ამისთვის ხელფასს იღებს, მივუთითე, რომ რაღაც არასწორად ხდება და გამოსწორებას საჭიროებს, მაგრამ ოლიმპიური სიმშვიდით გამომიცხადეს, რომ მათთან ყველაფერი რიგზეა. ეკა ბესელიამ და თეა წულუკიანმა ჩემთვის პასუხის გაცემაც კი არ ჩათვალეს საჭიროდ, ამიტომ იძულებული გავხდი პრემიერ-მინისტრისთვის მიმემართა და ჩემს ხელთა არსებული მთელი მიმოწერა გადამეგზავნა. ირაკლი ღარიბაშვილს ვთხოვ, რომ მოიძიოს მინისტრთა კაბინეტში პატიოსანი ადამიანი, რომელიც ყოველივეს გამოიკვლევს. პასუხი ჯერ არ მოსულა, მაგრამ გაჩერებას და დანებებას არ ვაპირებ. მე მხოლოდ სიკვდილი გამაჩერებს და ის დღეები, რაც დამრჩა, საქართველოს სამსახურში უნდა გამოვიყენო.. 2010 წელს გულის შუნტირება გავიკეთე და ახლა რეაბილიტაციის კურსის გასავლელად, მოსკოვში მივფრინავ. აქ ამის საშუალება არა მაქვს და იქ მოვახერხებ, რადგან იქ ჩემი შვილი ქირურგია.

როგორც წერილის თავში მოგახსენეთ, გურამ ლაკიამ დახმარებისა და მისი განცხადების სახელკმწიფო უწყებებამდე მიტანისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციას „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირი“ მიმართა. „საუდაკელები“ დაჟინებით მოითხოვენ პრობლემის შესწავლის საქმეში იუსტიციის მინისტრის ჩართვას, რადგან საუბარია 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებას, რომელმაც დღემდე გამოუსწორებელი შედეგები მოიტანა: სისხლისმღვრელი ომები თბილისსა და რეგიონებში, სახელმწიფოებრიობის მოშლა და ქაოსი წლების მანძილზე, დროებით, ტერიტორიების დაკარგვა, მოსახლეობის ძარცვა და გალატაკება, გენოფონდის განადგურება, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მკვლელობა, რეგიონების დაცლა მოსახლეობისგან და ა.შ. „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის“ თავმჯდომარე თამარ დადიანი

თამარ დადიანი

— ქართველი ერის წინაშე ჩადენილია სერიოზული დანაშაული და ამას შეფასება ჭირდება. როგორ შეიძლება, მთავრობამ ერთო დოკუმენტი არ დადოს და 90-იან წლებში სამეგრელოში დატრიალებული უბედურება არ შეაფასოს? რომელ აფხაზეთზე ვლაპარაკობთ, ეს რომ ვერ გაგვირკვევია? ვიღაცამ არ უნდა დაარქვას სახელი რა იყო ჯაბა იოსელიანის მიერ სამეგრელოზე ხუთგზის გალაშქრება, კვლა, ძარცვა, გაუპატიურება და ადამიანების აწიოკება? მარტო „მხედრიონი“ არ აკმარეს, უკრაინიდან მკვლელების ბანდები შეიყვანეს „ღამურას“ სახით. სახელმწიფო საიდუმლოებააო და ამაზე არავინ ხმას არ იღებს, თითქოს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ეს სამარცხვინო დღეები არ არსებულა. დოდო გუგეშაშვილმა მშვენივრად იცის, რომ სამეგრელოში „ღამურას“ მკვლელების ბრბო შეიყვანეს, რომელიც არც ქალებს ინდობდა და არც ბავშვებს. ამ მოვლენების სამართლებრივი შეფასების ნაცვლად, ისედაც მწირი ბიუჯეტიდან ამ ბარბაროსულ აქტებში მონაწილეებს პენსიებს და ჩინ-მენდლებს ვურიგებთ და ასე გაგრძელება დაუშვებელია. შევარდნაძის ხელისუფლების კონსტიტუციაც კი ვერ გაექცა ზვიად გამსახურდიას რეფერენდუმის შედეგებს და 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის პირველ მუხლში ჩაწერა ქვეყნის ისტორიის ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტი— 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმი და იმავე წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამით მაშინ შევარდნაძემაც აღიარა გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება და დღეს ვიღაც ხომ უნდა მიხვდეს, რომ შეიქმნას კომისია და ყველაფერს სამართლებრივი შეფასება მიეცეს. თითქოს საакაშვილმა რაღაც ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ: აღიარა უზენაესი საბჭო, მაგრამ არ აღიარა ეროვნული გვარდია თავისი მთავარსარდლობით. უზენაესი საბჭოს წევრებს და ეროვნულ მთავრობას ოთხწლიანი ხელფასები და პენსიები დაუნიშნა, მაგრამ ეროვნული გვარდია და ბანდფორმირებების თარეშის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა არავის გახსენებია. რუსეთი აფხაზეთს აუცილებლად წაგვართმევდა, რადგან შევარდნაძე რუსებს გაურიგდა. ამიტომ დაუჭირა რუსეთმა მხარი შევარდნაძის პოლიტიკას და ამიტომ დავკარგეთ ტერიტორიები. შევარდნაძის მიზანი ეროვნული ძალების სრული განადგურება იყო და ამას ადასტურებს „მხედრიონის“, „ღამურას“ და სხვათა რეიდები სამეგრელოში. ეს ხალხი არსად არ წასულა. კიტოვანიც აქვეა, დოდო გუგეშაშვილიც და ბევრი სხვაც და ახალ ძალებს იკრეფენ ხელისუფლებაში მოსასვლელად. ამის დაშვება ქვეყნის განადგურების ტოლფასია და არაფრით არ შეიძლება. დროა, ხელისუფლებაში ვიღაც სერიოზულად დაფიქრდეს ამაზე..

ჯერჯერობით უცნობია, რა გამოხმაურება მოჰყვება ეროვნული გვარდიის გაერთიანებული შტაბის უფროსის ინიციატივას პრემიერ-მინისტრის მხრიდან. ჩვენ გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ ოპერაციის გასაკეთებლად გამგზავრებულ ვეტერანს და მასთან საუბრის მეორე ნაწილს ჩვენს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ნელი თორდია

571 35 36 88

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

„თავისუფალი დემოკრატები“

თავისუფალი ფორვარდი გამიგია, მაგრამ ეს „თავისუფალი დემოკრატები“ რას ნიშნავს, ვერ ვხვდები.

თავისუფალი დემოკრატები თუ არსებობენ, ე. ი. არსებობენ არათავისუფალი დემოკრატებიც, რომლებიც თავისუფლები არ არიან?!

თავისუფალი, ანუ მოხეტიალე ფორვარდი ფეხბურთში ისეთ მოთამაშეს ეწოდება, რომელსაც მკაცრად განსაზღვრული ადგილი არ აქვს მიჩენილი და ხან მარცხნიდან უტევს, ხან მარჯვნიდან, ხანაც – ცენტრიდან.

ამ გაგებით ირაკლი ალასანიას გუნდი, ანუ „თავისუფალი დემოკრატები“ მართლაც ჰგვანან თავისუფალ ფორვარდებს და თავისუფალი ფორვარდებივით აღმა-დაღმა დახეტიალობენ პოლიტიკურ მინდორზე, მაგრამ ის ფეხბურთია, ეს კი პოლიტიკა და რაც ფეხბურთში მისაღებია, როგორ შეიძლება პოლიტიკისთვისაც მისაღები იყოს?

„თავისუფალი დემოკრატები“, ანუ მოხეტიალე ფორვარდები ახლა „ნაციონალებს“ უგორებენ პასებს, რასაც ჩვეულებრივ ენაზე კოჭის გაგორება ჰქვია, თუმცა ამათ რა გაემტყუნებათ – ესენი ხომ თავისუფალი დემოკრატები არიან, რაც მათი გაგებით, სინდისისგან თავისუფლებასაც ნიშნავს.

ამასწინათ ბოკერიას ვუსმენდი რადიოში, მაგრამ გადაცემის დამთავრების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ბოკერიას კი არა ალასანიას ვუსმენდი თურმე.

პირველად კი არ დამემართა ასეთი რამ – ცოტა ხნის წინათ ფანჯიკიძე თაქთაქიშვილში ამერია, ცაგარეიშვილი კიდევ ზურაბ ჭიაბერაშვილში.

რა ვქნა, რა ჩემი ბრალია – „ნაციონალები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ ისე ერთნაირად ჟღურტულებენ, ვინ ვინ არის, გარჩევა მიჭირს.

მახსოვს, ერთმა კაცმა ღარიბთა პარტიის დაარსება გადაწყვიტა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა – ღარიბებმა იფიქრეს, ისედაც ღარიბები ვართ, ღარიბთა პარტიაში რა გვინდაო და მდიდრების პარტიებში გადანაწილდნენ.

თუმცა იდეის ავტორმა იხტიბარი არ გაიტეხა, აიღო და ღარიბთა პარტიის ნაცვლად ძეხვის საამქრო გააკეთა, რომელიც იაფფასიან ძეხვს აწარმოებდა ღარიბებისთვის.

ძეხვი სამი სახის იყო – ერთი გრძელი – შედარებით ნაკლებად ღარიბი ღარიბებისთვის, მეორე საშუალო სიგრძის – საშუალო სიღარიბის ღარიბებისთვის, მესამე კი ყველაზე მოკლე – მთლად ღარიბებისთვის.

ბიზნესიდეამ გაამართლა – ღარიბები, მართალია, ხმას მდიდრების პარტიებს აძლევდნენ, მაგრამ ჭამით ღარიბებისთვის განკუთვნილ ძეხვს ჭამდნენ.

„თავისუფალო დემოკრატებო“, თუ „ნაციონალების“ დემაგოგიისთვის კოჭის გაგორების მეტი არაფერი შეგიძლიათ, თავი დაანებეთ ამ პოლიტიკას და სხვა საქმეს მოჰკიდეთ ხელი, ბოლო-ბოლო, სოსისების საამქრო გახსენით, ან მახათის „ცეხი“ აამუშავეთ, გნებავთ, კაბელების ბიზნესში იჩალიჩეთ, თორემ „ნაციონალებისთვის“ მოგუდული ბანის მიცემით ხეირს ვერ ეწევით...

არის თუ არა ხალხი მდედრობითი სქესის?

– რას გვიშვება ეს მთავრობა? – თქვა ერთმა.

– მთელი უბედურება იმაშია, რომ ეს მთავრობა არაფერსაც არ გვიშვება. აი, წინა მთავრობა რომ გვყავდა, ის გვიშვებოდა, თუ გვიშვებოდა, თორემ ესენი რისი მაქნისები არიან? – ხელი ჩაიქნია მეორემ.

– მართალი ხარ, ხო იცი... ნამეტანი მოსაწყენი ცხოვრება წამოვიდა. ამ მთავრობას რაც გინდა ის უთხარი – გინდ გააკრიტიკე, გინდ შეაგინე, გინდ სილა შემოულაწუნე, ხმას არავინ გაგცემს. აი, წინა მთავრობის დროს ერთი გადაკრული სიტყვა რომ წამოგცდენოდა, ფეხქვეშ გაგიდებდნენ და ძვალ-რბილს გაგიერთიანებდნენ.

– კი, კი, წინა ხელისუფლების დროს ძალიან ხალისიანი ცხოვრება გვქონდა... მაგრები იყვნენ, რამე რომ გეთქვა, ფეხქვეშ გაგდებას ვინ გაკმარებდა, ვირის აბანოში გიკრავდნენ თავს და მერე იქ გენახა ხალისობა – ეს „დუბინკაო“, ეს ცოცხის ტარიო და რა ვიცი, კიდევ რა არა?

– ამასწინათ სადღაც წავიკითხე – ხალხი მდედრობითი სქესისააო. ჩვენმა წინა მთავრობამაც, როგორც ჩანს, იცოდა, ხალხი მდედრობითი სქესის რომ არის და ხალხსაც ქალივით რომ უნდა მოექცე – ხან დაუყვავო და მოეფერო, ხან კი უხეში ძალა უნდა აგრძნობინო, რომ შეუყვარდე.

– აა, იმიტომ იყო, ეს „ნაცები“ რომ გვიჟაჟუნებდნენ?

– აბა, რა, ყველაფერი მეცნიერულ დონეზე ჰქონდათ გათვლილი და შესწავლილი. ამათ კი არ ჰგავდნენ, სულ თქვენობით და ბატონობით რომ გელაპარაკებიან.

– 300 000 კაცს პრობაციონერის დამღას რომ დააკრავ და 25 000 კაცს ციხეში რომ უკრავ თავს, შეუყვარდები ხალხს, აბა, რა იქნება?

– ეეხ, რა კარგი დრო იყო...

გიორგი გამეზარდაშვილი

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

ქალი დაულოშვილი - ლექსები

ია ს შიში...

-მეშინია
-რისი?..
-ქარი მოჰყვეს ნიავს...
დილიდანვე აჰყვა,
უმიზეზო შიში
გამოუცდელ იას.
ვარდი ფიქრობს: - ოდეს,
ქარსაც წაუღია,
ისე ამოქროლდეს
თან წაიღოს ია..
ღამის ცივი ქარი,
ბორიალობს გაღმა
და თანდათან ბინდ-ბუნდს
დასტყობია დაღლა..
-მეშინია
-რისი?..
ქარი მოჰყვეს ნიავს..
ცახცახებდა ია,
ქარს კი ვარდი მიაქვს.
ნაწილ-ნაწილ აცლის
ფოთლებსა და ფურცლებს,
იფანტება ღვარძლი,
მაგრამ ქარი უძლებს.
იღბალია? არა
ბედისწერა ჰქვია,
რადგან მშვიდად სძინავს,
ხის ფოთლებქვეშ იას...
ერთი,ორი,სამი,
გათენდება მალე,
დაცვარული ნამით
ცოტა წყალსაც დალევს.
-მეშინია
-რისი?..
-ქარი მოჰყვეს ნიავს...
დილიდანვე აჰყვა,
უმიზეზო შიში
გამოუცდელ იას..

ცხოვრება ომია

როგორ ხარ? მე კარგად,ნელ-ნელა,
მივყვები დინებას ცხოვრების.
მივფრინავ ფრთა-თხელი პეპელა,
თანდათან ამ სოფელს ვშორდები
და.. ზოგჯერ მგონია,არ ვიცი,
მთვრალი ვარ, არ მიმძიმს მანძილი,
ცხოვრება ომია, განვიცდი,
გზა არის მოკლე და ხანგრძლივი..
შეხედე ამ ხელებს,პატარებს,
პეპელას ფრთებია უზადო,
ოცნება, ფარფატით ვატარე:
მამულს რომ შვილები ვუზარდო..
როგორ ვარ?..რა მიჭირს, რა მიშავს,
და.. ზოგჯერ რატომღაც მგონია
ის სისხლი რაც მქონდა გამიშრა.
მივფრინავ..ცხოვრება ომია...

შავი რაში

ჩემს სალოცავ ქვეყანაში
შემოსულა უცხო ერა,
მიმაქროლებს შავი რაში
ჩემი ხსნა და ბედისწერა.
აქეთ, ვგონებ არაგვია,
ყვავილები,ყვავილები..
მომძახიან ხმები გვიან,
არ იჩქარო, დაიღლები.
მიმაქროლებს შავი რაში,
სადაც ლურჯი ქედებია,
ვაჟკაცები, ღვინის სმაში
და ლექსებში ედრებიან.
სადაც ცეკვა ნარ-ნარია,
ქალწულებრივ გედებისა,
აქ ყველაზე მთავარია
რწმენა, გულს რომ ედებისა.
მიმაქროლებს შავი რაში,
ნაპირებზე ზღვა ზურმუხტის
ამ მშვენიერ ჟამთა სვლაში
კაცი რას იქმს ღმერთმა უწყის.

* * *

მე გადარეს ბერძნულ ღმერთებს,
შენ, ვარსკვლავებს ჩემო ბიჭო,
გულს რომ ცეცხლად შემოენთე,
ტრფობაც უნდა შემომფიცო.
ტკბილხმიანო,ალვისტანო,
სითბო მინდა, არნახული..
მერცხლებივით მოვიყვანოთ
მერე ერთად გაზაფხული.
შვილი?.შვილიც ბევრი მინდა,
ბიჭიც მინდა, გოგოც-ანა,
თაფლის სანთელივით წმინდა,
სიყვარულის ლაღი ხანა.
პატარა და მყუდრო ბუდე,
იყოს ხისა, იყოს ჩალის
და ზოგჯერ თუ გაგებუტე
თვისებაა ესეც ქალის..
ბაღი მინდა ენძელების,
ნაირფერი ყვავილები,
წახვალ სადმე? მეძნელები,
წუწუნით ნუ დაიღლები..
სხვა რა მინდა ამის მეტი?!..
სხვანაირად არც კი მესმის..
სიყვარულო,შენ ხარ ღმერთი,
შენ ხარ ჩემი ყველა ლექსი.

* * *

..და სველ ქუჩაზე გაივლის გოგო,
ფერმიხდილი და ფერმკრთალი ოდნავ..
მიდის უმანკო და ღმერთო, როგორ
უთრთის ტუჩები და გული ბორგავს.
რამდენი თვალი მისდევს და მიდის,
თხელი კანი და თეთრი დეკოლტე
უხდება უხეშ და მუქ ფერს ხიდის,
გრძელი გზით მიდის,
რომ არ შემოკლდეს...
უცნაურია... სველი ქუჩები,
ნაფერები და ჯიუტი გოგო
მიდის ხანგრძლივად,ცხელი ტუჩები
უნდა როგორმე გამოიზოგოს...

ნუ იტყვი გულო

ასე მალ-მალე რად მიცემ გულო,
ჩემს ცოცხალ მკერდში,ქვად ჩაკირულო,
მე დღესვე წავალ,ლოცვით,ვედრებით
და ღმერთს სამშობლოს შევევედრები.
ნუ იტყვი გულო,ნურცა ფიქრებით
თითქოს გაიხრწნა ქართული ყოფა,
სამშობლოსათვის ერთად ვიქნებით,
მას კი მალამოდ ესეც ეყოფა.
ნუ,გულო,არ სთქვა,ვიცი მწარეა
მომძის ხელიდან სიკვდილი ასე,
როცა სულ ყველგან სიმწუხარეა,
ბავშვური გრძნობის ჟინით ამავსე..
ოღონდაც ნუღარ ხმაურობ გულო,
ვარდის მაგივრად,ნარად დარგულო..
მე დღესვე წავალ,ლოცვით,ვედრებით
და ღმერთს სამშობლოს შევევედრები.

ჯადოქრობისათვის სიკვდილით დასჯილი უკანასკნელი ქალბატონი

47 წლის შვეიცარელ ქალბატონს ანა გიოლდს ქალაქ გლარუსიდან, რომელიც მოსამსახურედ მუშაობდა ადგილობრივი ექიმის იაკობ ჩუდის სახლში, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ იგი ისტორიაში მეტად სამწუხარო რეალობით შევიდოდა. იგი ევროპის ისტორიაში უკანასკნელი ქალბატონი იყო, რომელიც ჯადოქრობის მიზეზით სიკვდილით დასაჯეს 1782 წელს.

შესაძლოა, ვინმე გააკვირვოს იმ ფაქტმა, რომ უკანასკნელი მსგავსი შემთხვევა შვეიცარიაში დაფიქსირდა – ქვეყანაში, რომელიც სახელგანთქმულია არსებული წესრიგით, კანონის უზენაესობითა და სიმშვიდით. თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ არსებული რეპუტაცია შვეიცარიამ უკანასკნელ 2 საუკუნეში მოიპოვა. იმ დროს როგორც ნაპოლეონის ომამდელ ეპოქაში შვეიცარელები სახელგანთქმულნი იყვნენ პირველ რიგში მეომრებით, აგრეთვე სიველურითა და ცრუმორწმუნეობით. ამიტომ საკვირველიც არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ჯადოქრებზე ნადირობას ამ ქვეყანაში საკმაოდ ფართო გასაქანი მიეცა: XV — XVIII საუკუნეებში მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით შვეიცარიაში ათჯერ მეტი ადამიანი იქნა სიკვდილით დასჯილი ჯადოქრობის მიზეზით, ვიდრე საფრანგეთში.

დავუბრუნდეთ ანა გიოლდის. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ იაკობ ჩუდის რვა წლის ქალიშვილი ცუდად გახდა, კერძოდ გოგონას კრუნჩხვები დაეწყო. ოჯახის უფროსმა თითქოს შეამჩნია, რომ მოსამსახურე ნემსებს უყრიდა საჭმელში მის ქალიშვილს, რის გამოც სამსახურიდან გააგდო იგი. მიუხედავად იმისა, რომ იაკობის ქალიშვილი გამოჯანმრთელდა, საქმე სასამართლომდე მაინც მივიდა. აღმასრულებელ ორგანოში მოწმეები ამტკიცებდნენ, რომ პატარა გოგონა აუტანელი ბავშვი იყო და იგი ხშირად დასცინოდა მოსამსახურეს, მათი აზრით სწორედ ეს გახდა დანაშაულის ჩადენის მოტივი.

გარკვეული პერიოდი ანა გიოლდი იმალებოდა, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მისი შეპყრობისათვის ჯილდო დააწესა, მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ გაამართლა და მალე ქალბატონი მართლმსაჯულების წინაშე წარადგინეს. გიოლდი აწამეს მანამდე, სანამ არ აღიარა, რომ მართლა ცდილობდა გოგონას მოწამვლით მოკვლას, ამავდროულად აღიარა, რომ ეშმაკთან იყო შეკრული, რომელიც დიდი შავი ძაღლის ფორმით ევლინებოდა მას. ამის შემდეგ იგი დამნაშავედ სცნეს და სასიკვდილო სასჯელი, თავის მოკვეთა გამოუტანეს (ცეცხლე დაწვა იმ დროს უკვე გასული იყო მოდიდან).

უნდა ითქვას, რომ სასამართლო ყველაფრის მიუხედავად აცნობიერებდა თუ რა რეაქციას გამოიწვევდა მათი გადაწყვეტილება, სწორედ ამიტომაც ოფიციალურად ანა გიოლდი ბრალდებულ იქნა მხოლოდ მოწამვლით მკვლელობის განზრახ ჩადენის მცდელობაში და არა ჯადოქრობაში. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი შვეიცარიული კანონები სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდნენ მოწამვლისათვის, თუ აღნიშნული ფაქტი მსხვერპლის სიკვდილით არ დასრულდებოდა. მიუხედავად ამისა ანა გიოლდი სიკვდილით დასაჯეს, ამ ფაქტის გამოაშკარავების შემდეგ ყოველივემ დიდი ხმაური გამოიწვია მთელს ევროპაში, საკმაოდ დიდი უსიამოვნებები შეხვდათ გლარუსის ხელისუფალთ. თუმცა რეაქცია დაგვიანებული იყო, მოკლულ ქალბატონს ამით აღარაფერი აღარ ეშველებოდა.

შვეიცარიის პარლამენტში ქალაქ გლარუსის წარმომადგენელი, ფრიც შისერი (ფრიტზ შცჰიესსერ), შევიდა თხოვნით ანა გიოლდის ყველა დანაშაულის მოხსნის თაობაზე. შვეიცარიის პარლამენტმა ანას საქმე სასამართლოს შეცდომად აღიარა და მისი იურიდიული რეაბილიტაციისათვის მიიღო გადაწყვეტილება წიგნის გამოშვების შესახებ, სადაც დაწვრილებით აღიწერებოდა ეს ისტორია. ეს ფაქტი 2008 წლის 7 აგვისტოს დაფიქსირდა, 226 წლის შემდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილების არსი, მდგომარეობდა იმაში, რომ გიოლდი სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების მსხვერპლი გახდა. არსებობდა მოსაზრება, რომ გიოლდსა და ექიმ ჩუდის სასიყვარულო კავშირი ჰქონდათ, ამ უკანასკნელმა კი შემდეგი არაადამიანური საშუალებით გადაწყვიტა ფეხმძიმე საყვარლის თავიდან მოშორება. დაზუსტებით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია, თუმცა ლოგიკურად ეს უფრო დამაჯერებელია, ვიდრე შავ ძაღლში ჩასახლებულ ეშმაკთან შეკვრის ისტორია და გოგონას მოკვლის მცდელობა.

1. მარგალიტ-ას მფარველი წმინდანი „შე-რეკილებში"
2. საბრძოლო ნაჯახი
3. ფრინველის საყლაპავი მილი
4. პატარა ბორბალი
5. შოკოლადი, არაქისით თაფლით
6. ქვეყანა ცენტრ. ამერიკაში
7. მღვდე-ლმთავრის სამკერდე ნიშანი
8. ხვრინვის მსგავსი ხმა ყელში
9. გოგრის ულვაში
10. ავტონომი-ური ერთეუ-ლი რუსეთის ფედერაციაში
11. რამესათვის თავის არიდება
12. ბომბი
13. ქრისტია-ნობის მიმდევარი
14. „დინამოს" ვეტერანი მეკარე
15. უჯრებიანი მაგიდა
16. სესხი, ვალი
17. სამაგიდო თამაში
18. სასადილო იტალიაში
19. აღმ. საქართველოს დამპყრობი ირანის შაჰი
20. ელ. ბურღი
21. . . . ევორა
22. ყურებთან ჩამოშვებული გრძელი თმები
23. მსახიობი . . . ლავი
24. ბერძნული ანბანის ასო
25. სრული შესატყვისი, შესაბამისი
26. ცეკვის ძვლი შესატყვისი
27. ჭრილო-ბის საფენი მარლა ბამბით
28. ჭადრაკის უნგრელი თეორეტი-კოსი
29. ცხენიდან გადმოხტომის საცირკო ნომერი
30. „შესანიშნავი შვიდეულის" პერსონაჟი
31. საპალტოვე ქსოვილი
32. პიტალო კლდე
33. ჩეხური აიროუმელი
34. ეკლესია თბილისში
35. დიდი ვაჭარი, სოვდაგარი
36. ნიანგი რუსული მულტფი-ლმიდან
37. დედამიწა უკიდურესი სამხრეთი კონცხი
38. FM რადიო
39. სისხლის შედედების მაჩვენებელი
40. გარგა-რის მსგავსი ნაყოფიანი მცენარე
41. მოსულელო ქარაფშუტა

42. მწვანილი
43. . . . რუნი
44. ჯადო, გრძნება
45. მსახიობი . . . თალაკვაძე
46. ესპა-ნური მუს. საკრავი სა-ტკრციალო
47. საზღვაო ოფიცერი მეფის რუსეთში
48. ჩურჩხელა
49. ტრიალი მინდორი ანუ
50. ოჯახი, სახლკარი
51. „დაჩის ზღაპრების" ავტორი ... იოსელიანი
52. წითელი ფერის ძვ. ქვა
53. არგე-ნტინელი მეკარე
54. სოფ. ზუგდიდთან
55. ფეთქებადი ნივთიერება
56. უილი-სის ტერო-რისტი პერსონაჟი
57. სოფელი ხაშურში
58. ჯონი დეპის მეკ-ობრე „... ბელურა"
59. თოვლზე სასრალო ნაკეთობა
60. ადამიანთა ჯგუფი, კოლექტივი
61. ბრტყელი თევზი
62. რუსული თოფი
63. გულის ცემა

64. გოდერძი მახარაშვილი პროფესიით იყო
65. მსახიობი მურმან . . .

თავსატეხი

ადათი, ავყია, არშია, აფიშა, ბაიკა, ბროში, ბუკია, **გაუჩო**, გრიშა, დარკი, **დიკლო**, ეწადა, ზუთხი, თვალი, იარდი, იდექი, ისანი, იხილა, **კეთრი**, კოლაუ, კონგო, ლეპრა, ლოშნა, ნაშთი, ნიდაო, ნოდარ, **ოთახი**, ოპერა, პლატო, რეტრო, სირმა, ტემზა, ურანი, **ფართი**, შახტი, ჩაცმა, ჩვარი, ციყვი, **ცოტნე**, ცხელა, ძაბრი, ძეხვი, ჯეზვე, ჯოჯუა, ჰელოუ, ჰინდი.

სამიდან ერთი

შვეულად: 1. ჩიჩინი, ჩიხურა, ჩოჩორი. 2. ფოკუსი, ფილიპო, ფელინი. 3. კოსოვო, მილანი, ჩოკინა. 4. თათარი, რონინი, საღამო. 5. ხივილი, ციკანი, კოდორი. 6. ნივა, ტახი, ლორი. 11. პლატინი, კაიმანი, ტრიბუნა. 12. ბებუთი, კაკანი, მოლარე. 13. ჩეფირი, დოლარი, გაზელი. 14. როლერი, სახელო, ხუტორი. 15. კლანი, ტროსი, ფლავი. 16. ხვითო, შტორი, თვალი.

თარაზულად: 3. ყარამანი, ჩურჩხელა, სირინოზი. 7. პიკოლო, მარინა, ტოროლა. 8. კაშალოტი კანავარო, კიტოვანი. 9. ბუსუსი, კეთილი, ხოხობი. 10. დალასი, შატალო, ნინელი. 12. ბაგირა, სეტერი, კაფელი. 16 მზე, უფა, თხა. 17. ჭედილა, შანელი, ბაზელი. 18. კრილოვი, პროპანი, სტეროლი. 19. თალარი, თამასა, თუთუნი. 20. პროფილი, ფრეგატა, კრიზისი.

შიფრვორდი

	25		22		11	21	6	14	33	11	6
3	1	18	9	29	6			28		6	
	16		29		3	9	18	19	6	14	9
	7	16	24	18	6			6		9	
	28		16		14	9	30	18	6	14	6
	18		10		20			6		1	
26	9	20	9	16	6		32			18	
9		9		1		15	19	6	4	6	9
27	6	12	24	14	6		28		9		2
9		26		6		13	18	9	14	30	6
14		22			27		6		12		2
9	3	24	14	9	18	6		31	9	21	6
	1		6		9			9		1	
	5		23		8		5	16	28	18	9
17	6	18	9	16	6			9		6	

ა–9
ბ–
გ–
დ–
ე–
ვ–
ზ–
თ–
ი–6
კ–22
ლ–
მ–
ნ–14
ო–
პ–
ჟ–
რ–16
ს–
ტ–
უ–
ფ–
ქ–
ღ–
ყ–
შ–
ჩ–4
ც–
ძ–
წ–
ჭ–
ხ–
ჯ–
ჰ–

გურამ შარაძე — ეს სახელი და გვარი მრავლისმთქმელია. ეს სახელი და გვარი ნიშნავს ქართველობას, შეუვალობას, შეუპოვრობას, სიწმინდეს, ზნეობრიობას, სამშობლოსა და სარწმუნოების უკიდეგანო სიყვარულს, თავგანწირვას და თავდადებას.

სწორედ ამიტომ ქვესკნელსა ქვეშე ქვეყანისათა ჯოჯოხეთსა შინა შთაინთქმებიან ისინი, ვინც დაუკვეთა და შეასრულა თქვენი მოკვდინება, ბატონო გურამ.

დრო ყველაფრის მკურნალიაო. ამ შემთხვევაში არ დავეთანხმები, რამეთუ ბატონო გურამ, ვერ დაგივიწყეთ და არც დაგივიწყებთ. თქვენდამი სიყვარული, პატივისცემა მარად იცოცხლებს ჩვენს გულში.

დაბადების დღეს გილოცავთ. ვულოცავთ თქვენს მეუღლეს, ღირსეულ ქალბატონს — სვეტლანასაც.

ღირსეულო ოჯახო, რომელნიც ცათა სასუფეველში განისვენებთ, ილოცეთ ჩვენი ბედკრული, მუდამ განსაცდელში მყოფი საქართველოსთვის.

ილოცეთ საამაყო შვილის რუსუდანის ოჯახისთვის, შვილიშვილთათვის, ახლობელთათვის.

ჩვენ კი აქედან ლოცვასა და ხსენებას არ მოვაკლებთ თქვენს ნათელ ხსოვნას. თქვენ შვილებთან ლაშასა და გიორგისთან ერთად.

სულმან თქვენმან კეთილთა შინა განისვენოს.

ქრისტესმიერი მონატრებით გლდანის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი, მამა ვახტანგი, მრავალრიცხოვანი მრევლი.

მკითხველის წერილი

ქვეყანაში არსებული წიაღისეულზე ადამიანთა უმრავლესობას საერთოდ არ გააჩნია ხელმისაწვდომობა, ამის ნათელი მაგალითი სამკურნალო წყალი „ბორჯომიც“ არის.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი ჟორჟოლიანის განმარტებით, იცვლება ხელისუფლების მიდგომა, რომელიც წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ამ სფეროში პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს.

მისი თქმით, მზადდება კანონმდებლობა „სასარგებლო წიაღისეულის შესახებ“, ასევე იქმნება გარემოს ზემოქმედების სტრატეგია და ეს ორი ფაქტორი ერთმანეთთან ჰარმონიაში უნდა მოვიდეს. „ჩვენი რესურსები არ არის გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად და, შესაბამისად, ეფექტურად გამოყენებული. ეს ყველაფერი მიშვებული იყო ბაზარზე. სახელმწიფომ კი უფრო მიზანმიმართული, პროგნოზირებადი და პერსპექტიული პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს და სწორედ ასეთი კანონმდებლობა მზადდება. განსახორციელებელია კოორდინირებული პოლიტიკა. ლიცენზია უფრო ეფექტურად უნდა მუშაობდეს, — აცხადებს დეპუტატი. მისი თქმით, ბუნებრივი რესურსების გამოყენების წამალი არ არსებობს და მთავარია, ხელისუფლების მიერ ეფექტურად პერსპექტივის დანახვა და სწორედ ამ თვალსაზრისის ყველა წინადადების განხილვა. მისი თქმით, ხელისუფლებამ, წინამორბედებისგან განსხვავებით, ამ სფეროში პასუხისმგებლობა აიღო ბუნებრივი რესურსების გამოყენების პრობლემების გადაჭრის გზაზე.

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის თავმჯდომარის რამაზ გერლიანის თქმით, ჩვენი მთლიანი შიდა პროდუქტი 30 მილიარდამდეა, მაშინ, როდესაც ასეულობით აქტივი, რომელსაც შეუძლია ეკონომიკაში ჩაერთოს, არის აბსოლუტურად გაჩერებული, გერლიანის პროგნოზით, რეალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობით, აბსოლუტურად უმოკლეს ვადაში შევძლებთ დავძლიოთ სიღარიბის პრობლემა. მისივე შეფასებით, დღეს ამ მხრივ არსებული ვითარება ჰგავს ოჯახს, რომელსაც აქვს მილიონობით საფასურის აქტივი, მაგრამ იღებს სიღარიბის შემწეობას. თუ ამას არ გამოვიყენებთ, შეიძლება 15 წელიწადში არ დაიძლიოს სიღარიბე.

აუთვისებლობის პრობლემა ყველგან, მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის, ჭიათურის მარგანეცი და რესურსები, ასევე წყალი, მარმარილო, სპილენძის მადანი, ძვირფასი ქვები და ა.შ. ამიტომ სახელმწიფომ ეს რესურსი უნდა გამოიყენოს და მოახდინოს მისი აქციონირება, 80% უნდა გადაეცეს საქართველოს მოქალაქეებს, დანარჩენი კი გავიდეს საერთაშორისო ბაზრებზე, საიდანაც პირველადი შემოსული თანხა მოხმარდება კონკრეტული რესურსის კაპიტალის განვითარებას, სავარაუდოდ, 300 მილიარდზე მეტს მივიღებთ, რომელიც შეგვიძლია ქვეყნის მოქალაქეებზე გავანაწილოთ.

„ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“

დღესაც არის სახელმწიფოში არსებული ასეულობით საწარმო (ობიექტი), რომლის გაყიდვისას მიღებული თანხა უნდა დაემატოს სასარგებლო წიაღისეულის განაწილებისას მიღებულ ქონებას. აქ ახლა მთავარია, ისე არ მოხდეს, როგორც ადრეულ წლებში. ამიტომ დავფიქრდეთ, სხვა ქვეყნების გამოცდილება გავიზიაროთ. „ვიჩქაროთ ნელა“!

რევაზ ფახურიძე
თემურ ციხკარიშვილი

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

- როგორ ხდება შრომითი ხელშეკრულების დადება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის?

-საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს შრომის კოდექსის”მე- 6 მუხლის მიხედვით, 1-ლი ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.

მე-2 ნაწილი: წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში.

მე-3 ნაწილი: პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი,

რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

მე-4 ნაწილი: დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

მე-5 ნაწილი: შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდგომ – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

მე-6 ნაწილი: თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება.

მე-7 ნაწილი: წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

მე-8 ნაწილი: დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი

ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

* * *

- როგორია გამოსაცდელი ვადის საკითხი არასაჯარო, ანუ კერძო საწარმოებში?

—საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით; სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

მე-2 ნაწილი: დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

მე-3 ნაწილი: გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა /რაც გულისხმობს შემდეგს: შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება/, თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

შარშან გამომცემლობა „პალიტრა L“-მა გამოსცა ჩემი წიგნი „პატარა ქალაქის ზღაპრები“. წიგნი დაასურათა შესანიშნავმა მხატვარმა ნინო ჩაკვეტაძემ.

ჩემი აზრით, წიგნი დიდებულადაა დასურათებული. ამის მიზეზი, ვფიქრობ, ორია: მხატვრის ნიჭიერება და მისი და ჩემი მსოფლგანცდების სრული თანხვედრა.

ამ მსოფლგანცდას მე დავარქმევდი ჩუმი ნაღველით შეფერილი შემოქმედებითი ინტიმურობისა და ტრადიციული პატრიარქალურობის ნარევს (ბოდიშს ვიხდი მრავალი უცხო სიტყვისთვის).

საერთოდ, ნინოს მხატვრობა ძალიან ახლოა ჩემთან. არაა გასაკვირი, რომ მისი ნახატები ჩემში აღძრავენ ფანტაზიას.

გთავაზობთ პატარა ჩანახატს, რომელიც დამებადა ნინო ჩაკვეტაძის ნახატის ცქერის შემდეგ. ნახატს ეწოდება „ბუები“.

გურამ პეტრიაშვილი

ბუები

დაღონებული ბიჭუნა მიდიოდა ტყეში.

უცებ მაღლიდან ხმა შემოესმა:

— გამარჯობა, ბიჭუნა, მოდი ჩვენთან!

ბიჭუნამ აიხედა.

მაღალი ხის სულ ზედა ტოტზე პატარა ბუები იყვნენ დასკუპებული.

— გამარჯობათ პატარა ბუებო! როგორა ხართ? — შესძახა ბიჭუნამ.

— არა გვიშავს, მაგრამ შენთან ერთად უკეთ ვიქნებით. გინდა ჩვენთან?

— ძალიანაც მინდა, მაგრამ მანდ აბა როგორ ამოვალ?

— ეგ ჩვენზე იყოს — უთხრა იმან, ვისაც ეტყობოდა, რომ მეთაური იყო. მერე კი ბუებს მიმართა — აბა, ბიჭებო, ამოვიყვანოთ ბიჭუნა.

ბუებს სიამოვნების ოხვრა აღმოხდათ, ტოტს მოსწყდნენ და ბიჭუნასთან დაეშვნენ. მერე მის ირგვლივ წრე შეკრეს და ძალზე სწრაფად დატრიალდნენ ფერხულში.

ბიჭუნას თვალები აუჭრელდა ბუების სწრაფი ფერხულისაგან. ერთ წამს თვალები დახუჭა...

... და რომ გაახილა, უკვე თვითონაც იმ მაღალ ტოტზე იჯდა ბუებთან ერთად.

რომ დააკვირდა, მიხვდა რომ ბუებიც დაღონებულები იყვნენ.

— მეც დაღონებული ვარ და თქვენც. მოდით ვუამბოთ ერთმანეთს ჩვენ ჩვენი გასაჭირი — უთხრა ბიჭუნამ.

იმ ბუმ, მეთაურს რომ ჰგავდა, უთხრა:

— კარგი, იქნებ ვუშველოთ ერთმანეთს.

— მე მგონი ვუშველით — უთხრა ბიჭუნამ.

— შარშან დედა გარდაგვეცვალა — თქვა მეთაურმა და ისე ამოიხრა კინაღამ გული ამოაყოლა — ჰოდა ამას დაემატა კიდევ ის უბედურება, რომ მამაჩვენს ერთი მეტიჩარა ოფოფი მოეწონა და მასთან გადავიდა საცხოვრებლად.

— ვიზიარებ, ძმებო, თქვენს მწუხარება — თქვა ბიჭუნამ. და თავი ისე ღრმად ჩაჰკიდა, კინაღამ ტოტიდან ჩამოვარდა.

— ჰოდა, ახლა არ გაინტერესებს, თუ რა დღეში ვართ? — უთხრა მეთაურმა — ტყეში იმართება საფეხბურთო პირველობა, სადაც ჩვენც ვიღებთ მონაწილეობას. ვიდრე დედა ცოცხალი გვყავდა, მამაჩვენი გვავარჯიშებდა და პირველობის პრეტენდენტებიც ჩვენ ვიყავით. ახლა კი მწვრთნელის გარეშე დავრჩით. მამაჩვენი კი მეტიჩარა ოფოფის შვილებს ავარჯიშებს და მართალი უნდა ვთქვათ, კარგი გუნდიც ჩამოაყალიბა.

ბიჭუნამ თავი ჩაღუნა და ჩაფიქრდა.

მერე კი ასე უთხრა:

— მგონი ვიცი, რაც უნდა ვქნათ. ჯერ ერთი, გაგიმხელთ, რომ მე ბიჭუნა კი არა, არამედ გოგონა ვარ. დღევანდლამდე ბიჭების გუნდში ვთამაშობდი. დღეს გამიგეს და გუნდიდან გამომაგდეს. მაგრამ იმას ხომ ვერ წამართმევენ, რაც ვიცი. და უნდა ვთქვა, რომ ძალიან კარგად ვიცი ფეხბურთი. ასე რომ შეგიძლიათ თქვათ, რომ ოფოფებზე ნაკლები მწვრთნელი არა გყავთ. მაშ გაუმარჯოს ბუების გუნდს. გაუმარ...

გოგონამ პაუზა გააკეთა და მერე ბუებთან ერთდ დაამთავრა:

— ჯოოოს!

— აბა კიდევ ერთხელ — თქვა მეთაურმა — ბუების გუნდს გაუმარ...

და ყველამ ერთად სჭექა:

— ჯოოოოოოს!

ბუებმა კვლავ ჩაბეს ფერხული და გოგონა მიწაზე დასვეს.

— მოიტათ ბურთი — უთხრა გოგონამ — ვიწყებთ პირველ ვარჯიშს.

და ჩაატარეს პირველი ვარჯიში.

მეორე დღეს — მეორე.

მესამე დღეს — მესამე...

და ვიდრე პირველობა დაიწყებოდა, შვიდი ვარჯიშის ჩატარება მოასწრეს.

პირველი მატჩი ბუებს სწორედ ოფოფებთანა ჰქონდათ.

როგორც წესია, მოედნის გვერდით ლამაზად გადახურულში ერთმანეთისგან მოშორებით ისხდნენ მეტოქე გუნდების მწვრთნელები და სათადარიგო მოთამაშეები.

ბუების მწვრთნელი გოგონა ნაღვლიანად უცქეროდა ოფოფების გუნდის მწვრთნელ მამა ბუს, რომელიც მეტიჩარა ოფოფის გვერდით იჯდა და ნერვიულობდა.

მატჩი ძალიან დაძაბული იყო. და თამაშის ბოლო წუთამდე გაურკვეველი იყო, თუ ვინ გაიმარჯვებდა.

და აი, ბოლო წუთზე ბუებს შორის საუკეთესომ მოატყუა ორი მცველი და ლამაზი დარტყმით შეარხია ოფოფების კარის ბადე.

— ვაშაა! — იყვირა გოგონამ.

და მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო: ოფოფების გუნდის მწვრთნელს ანუ მამა ბუს დაავიწყდა, რომ ოფოფებს გულშემატკივრობდა და მანაც იყვირა, რაც შეეძლო:

— ვაშაااა!

მეტიჩარა ოფოფმა შეჰხედა მამა ბუს, თვალი დააშტერა და მერე ნისკარტი ჩაჰკრა თავში. თან დააყოლა:

— არაფერი გეშველება, ბუ ხარ და ბუდ დარჩებიო.

იმ საღამოს, როცა ტოტზე ისხდნენ გოგონა და მისი გუნდი და ლაღიძის ნაღების სიროფიან წყალსა სვამდნენ მათი ხის ქვეშ მამა ბუ მოვიდა და თავდახრილი გაჩერდა.

და შვილებმა ერთად ჩასძახეს:

— მამიკო, ამოდი ჩვენთან!

მამა ბუ აფრინდა მათთან და დაალევინეს ლაღიძის წყალი.

სხვა თამაშებზე ბუებს ორი მწვრთნელი ჰყავდათ:

მამა ბუ და გოგონა.

მათ დაამარცხეს ყველა მეტოქე და ტყის ჩემპიონები გახდნენ.

იმ საღამოს კვლავ ისხდნენ ტოტზე ფეხბურთელი ბუები და მათი მწვრთნელები: მამა ბუ და გოგონა.

და აღარ ახსოვდათ თუ რა არის დაღონება.

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს.

იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი

დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001